-412
954

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

№ 1 იანვარი 1954



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა
ტრაქტორების დატვირთვა მტს-ებისათვის

ფოტო დ. ტაბაროვსკისა

გარეკანის პირველ გვერდზე: კიევი. შევჩენკოს სახელობის პარკში
ფოტო ფ. ლუკაშისა

მეოთხე გვერდზე: კიევი. დნეპრის სანაპიროზე
ფოტო ფ. ლუკაშისა

დროშა

№ 1 (30) იანვარი 1954 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი

F-1494

სუჯერო ბიბლიოთეკა

მეშახტის გულის ძახილი

პეტრო ნიკულინი

1941 წლის საშინელი შემოდგომა იყო. მეშახტე იაკობ ფილიპეს-ძე სოლოვიოვმა ბრეზენტის წამოსასხამი შეიბნია და ოთახიდან გასვლას აპირებდა.

— რას სჩადიხარ? — გაკვირვებით მიმართა ცოლმა სოფიო ალექსეევნამ — სად მიეშურები! ადამიანები დღისით არ გამოდიან გარეთ, რომ ფაშისტებს არ დაენახონ, შენ კი სად აპირებ ამ შუაღამეს? არა, არ გაგიშვებ! — სთქვა და ქმარს გზა გადაუღობა.

— მოიცა მე... ნეშახტეს ლაპარაკი შეაწყვეტინა ავტომატის გასროლამ. მას მოყვა უწესრიგო სროლა.

— გესმის? — ჩურჩულით შეეკითხა ცოლი. მისი ფერმკრთალი ტუჩები შეკუმშულიყო. თვალები ცრემლით ავსებოდა.

— ეხ! — ამოიოხრა მეშახტემ გულისტკივილით — საკუთარი გულის დასამარხად მივდივარ, გესმის საკუთარი გულის!

— გული... უნდა დამარხო... — გაიმეორა შეშინებულმა სოფიომ. იგი არ აშორებდა ქმარს თვალებს: — რა ემართება იაკობს—ფიქრობდა სოფიო.

— იცი — დაიწყო იაკობმა, ცოლს ხელები მოხვია გამხდარ მხრებზე — ბაღში ერთდღიური დასასვენებელი სახლი რომ იყო, იქ რომ ლენინის ძეგლი დგას, ჰიტლერელი კომენდანტის განკარგულებით ხვალ უნდა გაგზავნონ გადასადნობად.

სოფიო ალექსეევნა ადგილიდან დაიძრა. სულ დაავიწყდა, რომ რამდენიმე წუთის წინ თვითონ აჩერებდა ქმარს. შემოიხვია თავშალი. ხელი სტაცა პალტოს ჩასაცმელად. მან კარგად გაიგო მეშახტის გულის ძახილი.

— წავიდეთ ერთად! — აღელვებული ხმით წარმოთქვა სოფიომ.

— მეც შემწევს ძალა.

იაკობი აღტაცებით უცქეროდა ცოლს, მას ახარებდა მეუღლის ვაჟკაცური გადაწყვეტილება. მაგრამ არ იყო საჭირო სოფიოს წასვლა. ძეგლთან დანიშნულ დროზე კიდევ თხუთმეტი მეშახტე უნდა მოსულიყო. ამიტომ იაკობმა ცოლი დააჯერა, შინ დარჩენილიყო.

კარებზე მორიდებულად დააკაკუნეს. ოთახში შემოვიდა მოხუცი მეშახტე ნიკოლოზ ტიხონის-ძე პასტუშენკო. მისი ტანისამოსიდან წყალი წვეთავდა.

— დროა. — მოკლედ თქვა პასტუშენკომ.

გარეთ ღრიალებდა შემოდგომის ქარი. საშინლად წვიმდა. ცივი წვიმა სახეს უსველებდა მეშახტეებს, ხმაურით ესხმოდა ბრეზენტის წამოსასხამებს. მიაბიჯებდნენ ტალახსა და წუმპეში.

პარკი, სადაც იდგა ვლადიმერ ილიჩის ძეგლი, მდებარეობდა მეშვიდე შახტისა და «ხოლოდნაია ბალკას» შორის. პასტუშენკო და სოლოვიოვი მიდიოდნენ ხმაამოუღებლად, ნზვერაღებივით აქეთ-იქით ფრთხილად იხედებოდნენ. მივიდნენ პარკის ცენტრში. ღრმა სიჩუმეში ქუდები მოიხადეს და ძეგლთან გაჩერდნენ.

ჩქარა მოვიდა მეშახტეების ჯგუფი ბარგებითა და წერაქვებით, ისინი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მათ ჩურჩულს ნთქავდა წვიმის მონოტონური ხმაური.

სოლოვიოვმა კარგად იცოდა ყოველი ხე, ყოველი ჩირგვი. მან გადასწყვიტა დაემალათ ძეგლი შამბნარებში, სადაც იშვიათად თუ დაუდგამს ადამიანს ფეხი.

ყველაზე უფრო ძნელი იყო ძეგლის პედესტალიდან მოხსნა. წერაქვისა თუ ბარის ყოველ ხმას შეეძლო მტრის ყურადღება მიეპყრო. მუშაობდნენ ყოველგვარი ხმაურის გარეშე. ხანდახან მაინც გაიგონებდით ვინმეს თავდაჭერილ ამოოხვრას.

ძეგლი როცა მოხსნეს ვიღაცამ წაიჩურჩულა:

— ჩვენ გვითვალთვალებენ.

ყველა გაინაბა. ირგვლივ მიმოიხედეს, თვითეული მათგანი მზად იყო ადგილზე მომკვდარიყო და წვინდა საქმიდან უკან არ დაეხია.

ხეივანში ადამიანის ჩრდილი გამოჩნდა და უცბად გაუჩინარდა ხეების სილუეტებს შორის.

ვის უნდა გაეგო მეშახტეების საიდუმლოება?

— თქვენ განაგრძეთ მე კი ვეუთვალთვალებ — წაიჩურჩულა ერთმა მათგანმა და სიბნელეში გაქრა. მას ხელში შემართული წერაქვი ეჭირა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოპირდაპირე მხრიდან ძეგლთან მოვიდა კაცი: მთვარემ ერთი წუთით გამოანათა ღრუბლებიდან და გააბრწყინა ამ კაცის შაშხანა.



ლენინის ძეგლი შახტის „ხოლოდნაია ბალკას" წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიამ რილსკი

ლენინი ჩვენთან არის

ძველი სამყაროს ნანგრევებზე,
გრიგალში, როცა
იბადებოდა არნახული
სამყარო ჩვენი,
სასტიკ ბრძოლებში მიგვიძღოდა წინ,
როგორც დროშა
ეს ოთხი სიტყვა:
ჩვენთან არის ლენინი ბრძენი.
შემდეგ, როდესაც გაგვიბრწყინდა
დრო დიდებული.
და საბჭოების მზე განათდა
სხივების მფენი,
კავკასიამდე, ფინეთიდან
მოკიდებული,
იყო გუგუნი:
ჩვენთან არის ლენინი ბრძენი.
ახლაც, ვაშენებთ,
თუ შეტევის ცეცხლი ანთია,
ჩვენ ვიცით მბოლოდ
წინსვლისა და დიდების დღენი,
როცა წინ გვიძღვის
გამარჯვების გზებზე პარტია,
ჩვენ ვამბობთ მუდამ:
ჩვენთან არის ლენინი ბრძენი.

თარგმნა **გრ. აბაშიძემ**

— ნუ ფიქრობთ, იმუშავეთ, — ჩუმად თქვა მან—მე თქვენ დაგიცავთ, რომ ხელი არავინ შეგიშალოთ.

— ივანე ელისეის-ძევ ეს შენა ხარ? — სოლოვიოვმა იცნო მებაღე, რომელიც არა ერთხელ უნახავს ამ ბაღში, იგი მშვიდობიან დროს ერთგულად უვლიდა ნარგავებს.

ძეგლი ტონანახევარს იწონიდა, საჭირო იყო არაადამიანური ძალა რომ იგი გადაეტანათ დანიშნულ ადგილას. ძეგლი გულდასმით გახვიეს ბრეზენტში. მეშახტეებმა ფრთხილად ჩადვეს იგი მიწაში. მუხლებზე იდგნენ და ხელებით გაასწორეს მიწა.

მეორე დღეს მთელი დასახლებული პუნქტი შემოიარა სიტყვამ «ჩხრეკა». სხვენზე, სარდაფებში, ბინებში დაძრწოდნენ საძაგელი ჰიტლერელები, ისმოდა მათი გინება.

კომენდატურაში ამ დროს ადგენდნენ «არასაიმედო პირების სიას». ამ სიაში მოხვდა იაკობ ფილიპეს-ძე სოლოვიოვი.

ორ სალდათს მიყავდა იგი კომენდატურაში.

სავარძელში იჯდა გამხდარი, კისერგაწვრილებული კომენდანტი. იგი გულდასმით უცქერდა მეშახტეს. კომენდანტის სიმშვიდე ხელოვნური იყო. მისი ქერა წამწამები ნერვიულად თრთოდნენ. გაპრიალებულ ვიწრო შუბლზე ებერებოდა მოლურჯო ძარღვი. მაგიდის გვერდით იდგა «ჯაგრისი» რომელსაც ჯაგრის მაგიერ ნემსისებური მავთულები ჰქონდა გაკეთებული.

— ვინ გაგიძახათ? სად დამალეთ ძეგლი? ორი უკვე დაიხვრიტოს — ვითომდა ჯასაგებ ენაზე გაიძახოდა კომენდანტი.

— მე არაფერი ვიცი. — აუღელვებლად მხრები აიჩეჩა მოხუცმა მეშახტემ. მისი სახე არაფერს ამბობდა, მხოლოდ ცოტაოდნად დაძრულიყო მისი თეთრი წარბები.

— ახ, არ იცი? — შეჰყვირა გამხეცებულმა კომენდანტმა. მოხუცს გააძრეს ჩექმები და შეაგდეს ჯაგრისზე. ნემსები ფეხის გულებში ჩხვლეტდნენ.

სოლოვიოვმა სიმწრით ტუჩები მოიკვნიტა, შუბლზე ცივი ოფლი დაასხა, მაგრამ დაბეჯითებით გაიმეორა:

— მე არაფერი ვიცი.

კომენდანტი გამხეცებული სცემდა სოლოვიოვს. უკანასკნელად პრესპაპიე სთხლიშა თავში. იგი დარეტიანდა. გონს მოვიდა ვიწრო საკანში. მოხუცი მეშახტე საკუთარ სისხლში ცურავდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ცოცხალმკვდარი საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს...

საბჭოთა არმიამ განდევნა ჰიტლერელები მაკეევკიდან. მეშახტეებმა მიწიდან ამოთხარეს ძეგლი და პარკიდან შახტში გადაიტანეს.

— აქ, ჩვენ ყოველდღე მოვდივართ, — ამბობდნენ ისინი — ყოველდღე ვხედავთ ილიჩის სახეს.

ლენინის ძეგლი ახლა აღმართულია «მაკეევუგოლის» ტრესტის ახლად აღდგენილ შახტის «ხოლოდნაია ბალკას» წინ.

დიდი ლენინის ძეგლი ახლა გაჰყურებს მეშახტეების ახალ დასახლებულ ადგილებს, ჩვენი გმირი ხალხის მიერ ისევ აღდგენილ ქარხნებსა და შახტებს.

ლენინის სახელობის მაღაროში



ეროვნული ბიბლიოთეკა

1

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მარგანეცის გეგმიანი ამოღება და ყველა შრომითი პროცესების მექანიზაცია, რითაც ჭიათურელი მაღაროელის შრომის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. დღითი დღე იზრდება ჭიათურის მარგანეცის ამოღება. დღითი დღე უმჯობესდება მარგანეცის ამოღების მექანიზაცია.

2



3

1. ლენინის სახელობის მაღაროს სამმართველოს ხაზით მადნეულის ამოღება 60%-ით მექანიზებულია. 3 და 10 უბნებზე კი ჩატარებულია მთლიანი მექანიზაცია. აქ ყველა სანგრევზე გამოყენებულია მტვირთავი მანქანები, ელექტრობურღები, მექანიზებულია მადნის ჩამონგრევა და გადაყრა, მაღაროებში დადგმულია დღის სინათლის ელექტრონათურები.

ელექტრომავლის ახალგაზრდა მემანქანე ა. გვიანიძე მადნის გამოტანის ცვლის დავალებას ასრულებს 130-140%-ით.

2. ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკის საერთო ხედი.

3. ელექტრომავლის შეკეთება.

4. ლენინის სახელობის მაღაროს სამმართველოს ხაზით ხელმძღვანელ პოსტებზე ძირითადად კიროვის სახ. თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღზრდილები არიან. ახლა აქ მათი რიცხვი ოცდაცამეტს აღწევს.

ცვლის უფროსი ახალგაზრდა ინჟინერი შ. გამეზარდაშვილი (მარცხნიდან მარჯვნივ), რომელმაც 1953 წელს დაასრულა კიროვის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, დავალებას აძლევს მოწინავე მნგრეველს ნოვატორ გ. თოდაძეს.

5. საჰაერო-საბაგირო გზა, რომლის საშუალებით მადანი მაღაროდან მიდის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

4



5



კიევი-უკრაინის დედაქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. კოლგოროცკი

ახალი სახლები კრეშჩატიკზე.

კიევი რუსული ქალაქების დედაა, კიევი სამი მოძმე ხალხის — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხის აკვანია. კიევი დედაქალაქია უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, რომელიც წელს, საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად დღესასწაულობს დიდ რუს ძმასთან შეერთების 300 წლისთავს

უძველესი და უახლესი ისტორიაა აღბეჭდილი კიევის ქუჩებში, ამ «მარადიულ ქალაქში», როგორც მას უწოდებდა ჯერ კიდევ ბალზაკი. კიევი გაშლილია ორ გორაკზე, როგორც ჩვენი ისტორიის ცოცხალი წიგნი. აქ მიედინება დნეპრი — ძველი «გზა ვარიაგებიდან ბერძნებისაკენ». კიევთან დნეპრის ორივე ნაპირი ხიდებით უკავშირდება ერთმანეთს. ახლახან დამთავრდა აკადემიკოს პატონის სახელობის ულამაზესი ხიდის მშენებლობა. მდინარის ცისფერი ზოლის გასწვრივ მისცურავენ ტივები, ბარჟები და გემები. ისინი მოდიან რუსეთისა და ბელორუსიის მოძმე რესპუბლიკებიდან კახოვკისაკენ, როგორც საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ურთიერთდახმარების სიმბოლო.

კიევის სკოლების მოწაფეებს შეუძლიათ შეისწავლონ ჩვენი სამშობლოს უძველესი ისტორია არა მარტო სახელმძღვანელოების მიხედვით, არამედ იმდროინდელი მატერიალური ძეგლების საშუალებით. აი, კიევის ერთ-ერთ გორაკზე, რომელზეც ოდესღაც სოფიას ტაძარი იყო გაშენებული, აღმართულია XI-XII საუკუნის უმშვენიერესი ნაგებობა. მასში იაროსლავ ბრძენის სამარხია, რომელიც სულ ახლახან გათხარეს და დიდი მთავრის ჩონჩხი იპოვეს, თავის ქალის მიხედვით კი იაროსლავის სახეც აღადგინეს. აი, ოქროს კარების ნაშთი, მასში ტრიუმფით შემოდიოდნენ ყივჩაღებზე, პაჭანიკებზე და თათრებზე გამარჯვებული სლავური ჯარები. აი, სოფიის ტაძრის ქვევით, დნეპრისკენ მიმართულ ფერდობებზე განლაგებულია კვარტალები, რომელთაც გონჩაროვისა და კოტემიაკოვის სახელები შემორჩენიათ. აქ, იმ საუკუნეებში ცხოვრობდნენ ხელოსნები, რომლებიც აღსდგნენ თვითნება თავადების წინააღმდეგ.



უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს შენობა.

კიევის მეორე გორაკზე კატაკომბებით გარშემორტყმული პეჩერსკაია ლავრაა გაშენებული, ამ კატაკომბებში ბერები და ქალაქის მოსახლეობა თავს იცავდნენ თათართა შემოსევისაგან. აქ არის მემატიანე ნესტორის საფლავი. გვერდით კი, ეკლესიაში ასვენია მოსკოვის დამაარსებლის იური დოლგორუკის ნეშტი.

კიევში ჩვენ იმ სახლსაც ვნახავთ, რომელშიც პეტრე პირველი გაჩერდა. აქ იგი აშენებდა სიმაგრეს, რომელიც შვედი დამპყრობლების წინააღმდეგ თავდაცვის პუნქტად უნდა გამოეყენებინათ. სოფიის ტაძრის მახლობლად იმყოფება უკრაინული ბაროკოს ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლი — «ზაბოროვსკის კარები». დნეპრის გორაკზე მოჩანს ეკლესიისა და სასახლის აჟურული შენობები, რომლებიც ცნობილი რასტრელის მიერ არის აშენებული.

კიევის პარკებში, რომლებიც 18 კილომეტრის სიგრძეზე გასდევენ დნეპრის მარჯვენა ნაპირს, დასეირნობდნენ პუშკინი და ლერმონტოვი... პერვომაისკის პარკის ახლოს სახლია, სადაც იკრიბებოდნენ დეკაბრისტები. ქვევით, კრეშჩატიკის მოსახვევში ქოხია, რომელშიც ცხოვრობდა და ქმნიდა ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო. უფრო ქვევით პოდოლზე — სახლია რომელშიაც ყოფილან პუშკინი და ლისტი. აი, სახალხო სახლის შენობა — აქ თამაშობდნენ უკრაინის რეალისტური თეატრის კორიფეები — სადოვსკი და საკსაგანსკი, ზანკოვეცკაია და ზატირკევიჩი.

სახალხო სახლის გვერდით ფართო ქუჩაა, რომელზეც 1905 წელს რევოლუციონერმა პოდპორუჩიკმა ჟადანოვსკიმ აჯანყებული პოლკის ბატალიონი გაატარა. ქუჩას სამუდამოდ აქვს მიკუთვნებული მისი სახელი. იქვეა ულიანოვების ქუჩა, რომელზეც ცხოვრობდნენ ვლადიმერ ილიჩის და და ძმა.

1954 წელს შევჩენკოს ბულვარზე გაიხსნება სამოქალაქო ომის დროის ლეგენდარული მხედართმთავრის, კიევის პირველი კომენდანტის ნიკოლოზ შჩორსის ძეგლი. კიევის არსენალის კედლებზე ახლაც ნახავთ ტყვიამფრქვევთა ჯერების კვალს. აქ ესროდნენ პეტლურელი ბანდიტები კიევის აჯანყებულ მუშებს.

მუდამ ცოცხალი ყვავილების გვირგვინები ამკობს ორ ძვირფას საფლავს სტალინის მოედანზე, პერვომაისკის პარკის შესასვლელთან დასაფლავებულია გვარდიის კაპიტანი შელუდენკო. რომლის ტანკი 1943 წლის შემოდგომაზე პირველი შემოიჭრა ჩვენს ქალაქში. მეორე პარკში აღმართულია კიევის განმათავისუფლებლის, რუსი ხალხის შვილის, არმიის გენერლის — ვატუტინის საფლავის ძეგლი.

ფაშისტმა ბარბაროსებმა დაანგრიეს კიევის მთელი საცხოვრებელი ფონდის 43%. ყველა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება, ყველა კომუნალური წარმოება, მთელი მრეწველობა, ქალაქის ტრანსპორტი. დღეისათვის ყველაფერი აღდგენილია, უფრო მეტიც, აგებულია ახალი შენობები, ახლა უკვე კიევის საცხოვრებელი ფონდი 10 %-ით აღემატება ომამდელ საცხოვრებელ ფონდს.

ძველი კიევი, რომლის ქუჩებში მართლაც რომ შესაძლებელია ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლა, ახალ კიევად იქცა, დამშვენდა და გალამაზდა.

საოცრად ლამაზია კიევი მა-



ტ. შევჩენკოს სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი.

ისში და ივნისში. სწორედ ამ თვეებში ჩვენ განსაკუთრებით ვეპატიჟებით ძვირფას სტუმრებს მოძმე რესპუბლიკებიდან. 1954 წლის მაისში კიევი იდღესასწაულებს ისტორიული შეერთების 300 წლისთავს. ამ თარიღს აგონებს კიეველებს სოფიის მოედანზე გრანიტის კლდე-პედესტალზე მდგარი ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი. ზედ უფსკრულის პირას შეუჩერებია ჰეტმანს გაჭენებული ცხენი და უთითებს ერთადერთ გზას გადარჩენისაკენ — გზას მოსკოვისაკენ, დიდ რუს ხალხთან შეერთებისაკენ.

კიევი ნამდვილი ქალაქი-ბაღია. მის ცენტრში ხარობს პატარა ტყე, რომელიც კიევის უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღისათვის არის შემონახული. კიევში თითქმის არ არის ისეთი კვარტალი და ისეთი ქუჩა, რომელშიც პარკი, ბაღი, თუნდაც პატარა სკვერი, ან ფანჩატური არ იყოს გაშენებული. მთელი ქალაქი გარშემორტყმულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის ფართო რკალით, აქ განლაგებულია მრავალრიცხოვანი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. ზაფხულობით კიევში ჩამოსული მოსკოველები და ლენინგრადელები გაოცებულნი ამბობენ: «რა საჭიროა ამ ქალაქიდან კურორტზე წასვლა?» მართლაც და ძნელად მოიძებნება ასეთი დიდებული პლაჟი მთელ სიგრძეზე რომ გასდევს კიევს მდინარე დნეპრის გასწვრივ.

კიევი ქალაქი-ბაღია, და ამავე დროს ორმოცმილიონიანი რესპუბლიკის დიდი ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. კიევის აეროდრომზე ყოველდღიურად ჯდება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან მოსული ათობით თვითმფრინავი. მატარებლებსა და გემებს აქ ჩამოყავთ საბჭოთა ქვეყნის ათასობით ადამიანები. კიევში რეგულარულად იკრიბებიან უკრაინის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები, რესპუბლიკური და სრულიად საკავშირო სამეცნიერო ყრილობები.

კიევში მუშაობს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, მასთან არსებული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებით, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტი. კიევის ინსტიტუტებში 40 ათასამდე სტუდენტი სწავლობს, ამ რიცხვს უნდა მიემატოს საშუალო სკოლებში მყოფი 130 ათასი მოსწავლე.

უკრაინის დედაქალაქი მსუბუქი, საშუალო და კვების მრეწველობის საკმაოდ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. პირველად, ომისშემდგომ წლებში აქ უშვებენ მოტოციკლებს, ფოტოაპარატებს, ფართოვდება ექსკავატორების წარმოება, შენდება გემები და სხვ.

რამდენიმე წლის წინათ დასავლეთ უკრაინის სოფელ დაშავადან კიევში გაყვანილი იქნა აირსადენები. დღეისათვის უკვე კიევის 72-ათასი ოჯახი სარგებლობს იაფი და მოსახერხებელი აირგათბობით. კიევში ყოველდღიურად მუშაობს სატელევიზიაციო სადგური, რომლის მოქმედება დასაწყისში 50 კილომეტრ რადიუსზე იყო გაანგარიშებული, მაგრამ თვით დამპროექტებლების გასაკვირველად კიევის ტელეგადაცემები გავრცელდა 200-300 კილომეტრის მანძილზე.

კიევში მუშაობს 17 კინოთეატრი, 7 თეატრი, მათ შორის მთელ კავშირში ცნობილი ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ივანე ფრანკოს სახელობის უკრაინის დრამატიული თეატრები, 56 კლუბი და კულტურის სასახლე, 57 მასიური ბიბლიოთეკა და 14 მუზეუმი, რომელთა ფონდები გაძარცული იყო ფაშისტების მიერ, ახლა კი აღდგენილი და შევსებულია. აღდგენილია ფაშისტების მიერ გადამწვარი კიევის უნივერსიტეტის შენობა.

კიევი მართლაც რომ მარადიული ქალაქია. ვერც პაჭანიკებმა და თათრებმა, ვერც თეთრგვარდიელებმა და ჰიტლერელებმა ვერ გაანადგურეს ეს სიმღერასავით მშვენიერი და ლამაზი ქალაქი.

ახლა ომამდელ დღეებზე უფრო მომხიბლავია კიევი. მთელ ქალაქში შეიძლება მოინახოს ერთი ან ორი აღუდგენელი შენობა. მაგრამ ისინი განზრახ არიან დატოვებულნი, რადგან მათი მშენებლობა დაკავშირებულია ქალაქის კვარტალთა საერთო რეკონსტრუქციის პროექტებთან.

დღეისათვის ხორციელდება და ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია კიევის სრული რეკონსტრუქციის გრანდიოზული გეგმა. უმრავლეს რაიონებში უკვე თვალნათლივ ჩანს ამის შედეგები.

დავიწყოთ კრეშჩატიკიდან— კიევის ბუნებრივი ცენტრიდან: ეს ქუჩა იმ ორი გორაკის შუაში გადის, რომლებზედაც გაშენებულია ქალაქი. გერმანელებმა მთლიანად გაანადგურეს კრეშჩატიკი, თითქმის ყველა სახლი ააფეთქეს ამ ქუჩაზე. ამჟამად კი უკრაინის დედაქალაქის ცენტრალური ქუჩა ორმაგად გაგანიერებულია და უახლოეს წლებში მთლიანად გაშენდება. კრეშჩატიკზე აშენებულია, შენდება და აშენდება 16 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 12 ადმინისტრაციული შენობა, ქალაქის საბჭოს სახლი, კონსერვატორია საკონცერტო დარბაზით, რომლის მეზობლად შენდება ცენტრალური სასტუმროს მრავალსართულიანი სახლი, როგორც სიმბოლო სტუმართმოყვარეობისა. აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროცესშია არქიტექტორი ბერეცის მიერ შექმნილი კეთილშობილ ქალთა ყოფილი ინსტიტუტის შენობა. აქვეა სარეწაო კოოპერაციის კულტურის სასახლე, რომლის დარბაზი ყველაზე დიდია კიევში — იგი 2400 მაყურებელს იტევს.

ძალზე საინტერესოა დედაქალაქის ცენტრალური მაგისტ-

ტ. შევჩენკოს სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი სამსარაძე

უკრაინელი სტუმრები

ყველას ეწვია საამო განცდა,
მთელი სოფელი შეგროვდა ერთად...
მოვიდა, როგორც ტკბილი ძმა ძმასთან
დელეგაცია უკრაინელთა.

ეზო აივსო უცებ სტუმრებით,
ჩრდილი დაიტევს თუნდაც ათასებს,
ქართული ღვინით სავსე სურები
ღიმდაფრქვეულებს მოაქვთ ლამაზებს.

არის მილოცვა... ოქროპირობა...
სუფრას ჩრდილავენ დიდი მუხები.
ერთად დასწერეს ყველა პირობა
და შეკიბრების ვრცელი მუხლები.

შემდეგ გაჩაღდა ლხინი ნამდვილი,
შხეფებს ჰყრის ღვინო შარშანწინდელი.
უკრაინულად მღერის ქართველი,
„სულიკოს“ მღერის უკრაინელი.

ადგა თამადა, თქვა: სანაქებო
ძმობის ლაღ დროშას ვერავინ დახრის,
მსურს ვადღეგრძელო, ამხანაგებო,
დიდი რუსეთი და მისი ხალხი.

იგი წინ გვიძღვის,
გვრაზმავს... გვახარებს
და უფროს ძმათაც მიტომ გვეგულვის...
ამ შეკიბრში კი ორივე მხარე
ვიყოთ ყოველთვის გამარჯვებული.

ფეხზე წამოდგნენ მხნედ, მამაცურად,
ხალხთა დიდების ყანწი დალიეს,
და ყველამ ერთად დააგუგუნა
მძლავრი,
ქართული
«მრავალჟამიერ».

ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მომსახურებას უწევს სკალა-პოდოლსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას და კამენეც-პოდოლსკის ოლქის სოფელ პიტოვის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

ფოტო ფ. ფედოროვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალის ახალი მშენებლობის პრინციპი. ქუჩის მარჯვენა მხარეზე უწყვეტ რიგად გრძელდება უკრაინის კერამიკით მოპირკეთებული შენობები. მარცხენა მხარეზე კი, წაბლებით მოჩრდილულ ახალ ბულვარს იქით, მანძილის გამოტოვებით შენდება სახლები. მათ შორის დარჩენილ სივრცეში მოჩანს მარცხენა გორაკის თვალწარმტაცი ფერდობები, რომლებზეც კიბესავით მაღლდებიან მრავალსართულიან სახლთა რიგები.

გაივლის სულ მცირეოდენი დრო — ორი სამი წელი — და კრეშჩატიკის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება.

ომისშემდგომ წლებში კიევში წარმოიშვა 150 ახალი ქუჩა, ასე რომ მათთვის შესაფერი სახელების შერჩევაც გაძნელდა, ჯერჯერობით ამ ქუჩებს ეწოდება: ახალი 123-ე, ახალი 69-ე და ა. შ.

ალბათ, კიევში არ მოინახება ისეთი უბანი, სადაც ახალი სახლი არ შენდებოდეს. რამდენიმე ასეული ამწე, რომლებიც ომამდე კიეველებს არც უნახავთ, ქალაქის ყოველ კუთხეში დგას. მიმდინარეობს ქალაქისა და ქალაქგარეთ არსებული დასახლებული პუნქტების შერწყმისა და შეერთების პროცესი. ისეთი ძნელად მისაღწევი პუნქტები როგორიც არიან: სვიატოშინო, კარავაევთა აგარაკი, პუშჩალვოდიცა, პოსტ ვოლინსკი და სხვ. დღეისათვის უკვე უერთდებიან ძველ ქალაქს. კიევი თანდათან ხდება გიგანტი ქალაქი. ამას ხელს უწყობს უდიდესი საგზაო მშენებლობა. კიევში ახლა სამჯერ უფრო მეტი მოასფალტებული ქუჩაა, ვიდრე ომის წინ იყო.

სულ მალე რიგში ჩადგება მრავალსართულიან სახლთა დამამზადებელი ქარხანა. ეს სრულიად ახალი მშენებლობაა, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ომისშემდგომ პერიოდში იწყო განვითარება. ქარხანა დაამზადებს ოთახის მთლიან კედლებს, მთლიან ჭერს, მთლიან იატაკს, სახურავს. ამ ნაწილებს მიიტანენ სამშენებლო მოედანზე და რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველმხრივ დამთავრებული სახლი წამოიჭიმება. მას კი არ ააშენებენ, არამედ ადგილზე ააწყობენ, როგორც მანქანას. ასეთ მშენებლობისათვის 4-5 კვირაა საჭირო.

საკმარისია ითქვას, რომ კიევის ქარხანა იმდენივე მასალას მოგვცემს რამდენი აგურიც არის საჭირო კიევის მთელი მშენებლობისათვის. ასე რომ ქარხნის ამუშავებასთან ერთად ორმაგად გაიზრდება მშენებლობის საშუალებები.

უდიდესი ყურადღება ექცევა არა მარტო ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორიც არის საცხოვრებელი ფართობის გადიდება, არამედ — ქალაქის კეთილმოწყობასაც. მთელი ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ კიევი გახდეს უფრო კომფორტაბელური ქალაქი, რომ ცხოვრება მის გარეუბნებში არაფრით არ განსხვავდებოდეს ცენტრში ცხოვრებისაგან, რომ მოსახლეობის საჭიროებისათვის იყოს აირი, ელექტროობა, რომ მათ იარონ მხოლოდ ასფალტზე, რომ მათ მოემსახუროს ასობით ტაქსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, კრეშჩატიკზე და ქალაქის ყოველ რაიონში ჩამწკრივებული საუკეთესო მაღაზიები. რომ ისინი ტკბებოდნენ ყვავილების ცქერით.

ასე შენდება და იზრდება ქალაქი დნეპრზე, რომლის მოსახლეობა ჯერ კიდევ ომამდე მილიონს აღწევდა.

კიევი გახდა ცენტრი ერთიანი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, რომლის საზღვრები ახლა გადაჭიმულია ჩრდილო დვინიდან ტისამდე და აზოვის ზღვიდან დუნაის ნაპირებამდე. პირველად, ასეული წლების შემდეგ, კიევი გახდა ცენტრი რესპუბლიკისა, რომელიც აერთიანებს უცხოელთა ოკუპაციის შედეგად საუკუნეობით დაქსაქსულ უკრაინის მთელ მოსახლეობას. ახლა ის დრო წარსულს ჩაბარდა.

ხმელნიცკის მიერ მიღებული გენიალური ისტორიული გადაწყვეტილების — უკრაინის თავის ღვიძლ ძმასთან, რუსეთთან შეერთების — ნაყოფი დღეს თვალნათლივ ჩანს. პერეიასლავის რადის გადაწყვეტილების (1654 წ.) წყალობით უკრაინელმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ვინაობა, როგორც ერმა. რუს ხალხთან კავშირში, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მან მოიპოვა სოციალური და ნაციონალური თავისუფლება. უკრაინელი ხალხი უკვდავია, როგორც მათი დედაქალაქი — კიევი, უძველესი და მუდამ ახალგაზრდა ქალაქი, რომელიც თავის თავში ანსახიერებს თავისუფალ საბჭოთა ხალხების მტკიცე ერთიანობას.

პლატონ ვორონკო

მაატვარი კ. მახარაძე

ლეგენდის დაბადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПОЕМА

ეგრე ვივლი სულ წინ და წინ,
და გავჭრიგი... ლეგენდად ვიქცევი.
ლესია უკრაინკა

ცნობილი უკრაინელი პოეტი პლატონ ნიკიტას-ძე ვორონკო დაიბადა 1913 წელს. ხარკოვის აგრონომიურ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ტაჯიკისტანში, ხოლო 1937 წლიდან სწავლობდა საბჭოთა მწერლების კავშირის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში.

პ. ვორონკო მონაწილეობდა თეთრფინელებთან ომში. დიდ სამამულო ომის წლებში იგი ხელმძღვანელობდა მენაღმე პარტიზანთა ჯგუფს, შემდეგ კი ოლევის პარტიზანულ რაზმს, რომელიც შედიოდა კოვპაკის გაერთიანებაში.

საბრძოლო პირობებში პ. ვორონკო წერდა სიმღერებს, რომლებსაც მღეროდნენ პარტიზანები და სპეციალურ ლექსებს, რომლებიც დაბეჭდილ ფურცლების საშუალებით ვრცელდებოდა მოსახლეობაში.

ლექსების კრებულებისათვის «დილა მშვიდობისა» და «დიდება მშვიდობას» პ. ვორონკოს 1950 წელს მიენიჭა სტალინური პრემია.

ვბეჭდავთ პლატონ ვორონკოს ახალ პოემას «ლეგენდის დაბადება», რომელიც მიძღვნილია უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობისადმი.

პოემა ჟურნ. «დროშის» რედაქციის დავალებით თარგმნა პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა.

სიმღერის დასაწყისი

ამ მხარეში, სადაც ცაზე
გაუშლია არწივს ფრთანი
და ლეგენდებს აშრიალებს
კავკასიის კიდე-განი.
სადაც მძაფრი წყლების ღრიალს
ბანს აძლევენ შორი მთანი, —
ფრთებით ცამდე მაღლდებიან
საქართველოს თქმულებანი.

აქ სამხრეთის ლეგენდებში
ეჯიბრება სუნთქვაც ზვავებს
და გმირობის,
მეგობრობის,
სიყვარულის ჰანგებს თხზავენ.
ვარსკვლავებში ისევ ელავს
ამირანის ცეცხლის კვალი,
მან კოშკიდან ბოროტებას
გამოსტაცა ყამარ-ქალი.
აქ სატრფოსთან მიწაში წევს
შევარდენის ქალიშვილი
და ეთერის ბედ-იღბალზე
თმაგაშლილი ქარი ჩივის.
ჭირსა შიგან ტარიელი
აქ იძენდა ახალ ნებას:
რწმენისაგან — ძალ-ღონესა,
ძმებისაგან — დახმარებას.
და ვით ახალ გზაფხულზე
გამოჭრილი სხივი დილით
მიიწევდა ქაჯეთისკენ
ფრიდონით და ავთანდილით.

ასე გაჩნდა ამ მხარეში
ლეგენდების დიდი სხივი —
ტანაყრილი, როგორც მთები
და ნაჭედი ალმასივით.

და ქართველი ხალხის გულიც
მათ ინახავს სიყვარულით.

ამ მრავალი ლეგენდიდან
სურამს ვნახე ამას წინათ, —
სურამივით მშობლიური
ეს ლეგენდა პაწაწინა.

ეს ლეგენდაც ისეთია,
ვით სიმღერა ნათელ დილის,
ვით დღეები გაზაფხულზე
ახალგაზრდა ქალიშვილის.

I

მაღალ ჭიშკართან დატოვა
ეტლმა ბორბლების კვალი. —
სურამს მიყავდათ მეგობრებს
უკრაინელი ქალი.
ხელებზე დასვენებული,
დაღლილი, ფერწასული, —
იყო უზომოდ სნეული,
მაგრამ ამაყი სულით!
ნაწნავის ბაფთებს ლესიას
აღარ ურხევდა ქარი...
აღარ ესმოდა შორიდან
ნაცნობ ვოლინის ზარი.
ეფარა სქელი პირბადე
იმის ავადმყოფ სახეს. —
და მაინც ბადის ნაოჭში
ღიმილი დაინახეს.
მეეტლემ ღვედი მოსწია,
გასძახა კიდით კიდეს:
„შესდექით!
მას გაეღიმა...
დიდხანს იცოცხლებს კიდევ“.
წარბებქვეშ არწივისებურ
გამოხედვაში მაშინ —
გაჩნდა კეთილი იმედი
და ხმა გავარდა ხალხში:
— გაიცინაო ლესიამ
მხოლოდ თვალებით ოდნავ. —
ტუჩებს კი, ტანჯვა დიდი ჰხნის
და სენი ეტყობოდა.

ისევ მზე არის სურამში
და მოწმენდილი ცანი —
ცეცხლის და წყალის საამო
მზიური ავაზანი.
— შემოდი სახლში!
— არ მინდა.
ერთ წუთს ვუყურო ზეცას, —
მტრედისფერ ელვარებაში
რომ გადავიდე მეცა.

ეჩვენებოდა ლესიას,
რომ იგი —
მიჰქრის,
მიჰქრის...
ქართლიდან უკრაინაში
ისწრაფის მისი ფიქრი.
ღრუბლებისაკენ ისწრაფის,
უბე გადიხსნა ცამ —
ვარსკვლავთა
ბრწყინვალებაში
დაბლა ეცემა ნამად.
და მიდის ნაწნავიანი
ისმის სიმღერა ოგვლენ,
ქალიშვილური ბაფთებით
მორთული არი იგი.

ლესიას გულზე მოეშვა,
და ისევ კარგად არი.
იცინის ლაღად, უელავს
კბილების მინანქარი.
ტუჩებში ჩადგა ღიმილი,
თვალებში — სიხარული
და მიტომ კეთილ მეგობრებს
გაუხალისდათ გული.
მაგრამ სხვა არი ღიმილში
წინასწარხედვა თვალის. —
ილევა, ჰქრება წვეთ-წვეთად
სიცოცხლის ნიშან-წყალი.

II

შორით მოსული სტუმარი
შეაღებს სურამის კარს. —
წევს სარეცელზე სნეული
ლესია უკრაინკა.
მწუხარე სადღეგრძელოში
სიზმარია თუ ნისლი —
ნაცნობი ერთი სახელი
დიდი ხანია ისმის.
და ეჩვენება ავადმყოფს
ძილ-ღვიძილ სიცხადეში,
რომ სადღაც მთების გადაღმა,
დაბურულ კლდეთა ეხში, —
გუცული ქალი ლემკოსთან
კითხულობს „ტყის სიმღერას“
და მათ ცრემლიან თვალებში
ლურჯი ლაჟვარდი ღელავს.
მხოლოდ მთებიდან მთებამდე
დგება საღამო ამო
და გუცულები ტირიან
მაკას ბედ-იღბლის გამო.
საიდან უნდა სცოდნოდათ
იმათ შორეულ მთებში,
რომ სადღაც ქარის სტვენაში, —
საშინელ ტკივილებში, —
ეხშობა სუნთქვა ლესიას,
ჰქრება მზე სილამაზის.
მათ კი, აქვთ ლაღი სიმღერა
და სიყვარული ნაზი.
აქვთ სიყვარული,
აქვთ ლექსი,
აქვთ ნაზი ტურფას სახე!
ეს სახე არი ლესია,
იგი აქ არი,
ნახეთ!



ხის შტოებიდან სიმღერა
გამოცურდება ლაღად
და როგორც გამოძახილი
ცაში მიიწევს მაღლა.
იმისი დიდი ანდერძი
ქვეყნად გუგუნებს ისევ:
„ვით მე მიყვარდა ლუკაში,
თქვენც შეიყვარეთ ისე.“

დაჰყურებს ისევ იისფერ
ტალღებს გუცულის თვალი,
სადაც ხრამებში თამაშობს
ლაღი ბისტრიცას წყალი.
და ლექსთან ერთად, ზღაპარში
მოდის მაღალი ქალი.

— ეს მაკა არი...
— ო, არა!
მასში ძალაა ხალხის. —
ის მოდის, თითქო ამდგარა
ტალღების დიდი თალხი.
და ცვივა, ცვივა ნაპირზე
ცეცხლების ნაპერწკალი.
და მოდის, მოდის ლაღადა
როგორც ბისტრიცას წყალი.
ის ქალი მშობელ ქვეყანას
ნამავდა როგორც ნისლი?
ნამავდა არა ცრემლებით,
არამედ მტრების სისხლით!
— გესმის შენ სიტყვა მართალი?
— ყღარუნი იარაღის?
— ხეობის ნაპირებიდან
მოედინება ხალხი.
— ეს მშობლიური მთებიდან
მოფრინდნენ არწივები.
— ეს გმირებია. პოლკებით
დაფარეს ნაპირები.
— შეხედეთ! მაკას მანდილი
ზეცაში აფრიალდა.
— ეს ხომ წითელი დროშაა!
მოსული ცეცხლის ალთან.
მოდის წითელი მანდილი,
მზე დგება ფანჯარაზე.
იქნებ, ეს უკრაინკაა —
ხვდებიან იმას გზაზე.

წაუკითხავი სტრიქონი
ასე გასრულდა მაშინ.
და მიესვენა ლესიაც
ფოთლების ნელ შრიალში.

III

წევს სარეცელზე ლესია,
თვალები ლურჯი — ია.
იმას ამაყი აზრები
გუნდ-გუნდად ეხვევიან.
აი, ფიქრი და ოცნება:
ილება ეზოს კარი
და მის ბინაში შემოდის
ნაცნობი მათხოვარი.

ერთ წუთში გამოიცვალა
იმან ძონძები ძველი
და სადღაც გაუჩინარდა
როგორც სიმღერა ვრცელი.
წავიდა... ლაღმა ფიქრებმა
ქალს დაუბრუნა ისევ
წარსული ახალგაზრდობა,
ცეცხლი და სიხალისე.
და ასე ხალხში გასული
მთებიდან მთებზე მიჰქრის —
სისხლხორცშესხმული ლეგენდა,
ლესიას ლაღი ფიქრი.
ბურუსი შუა გაიპო,
ცაში განიმქრა გუნდად...
ძალა და რწმენა ბრძოლისა
მაღალ სულს დაუბრუნდა.
გაშლილი ალაზანიდან
კარა-სუს ჩანჩქერამდე
ნათელ გონების შესახებ
თქმულება ყვება ამბებს.
მას შეაქვს ხალხში კასანდრას
წინასწარხედვა დიდი:
მტრისათვის ღამე მრისხანე,
მოყვრისთვის დილა მშვიდი.
წყალზე ცეცხლს დადეს, და უცებ
ფაფარაშლილი წყლიდან
ნაპერწკლიანი ცეცხლები
ოქროსფრად ამოდიან.
ხალხიო თავისუფალი
როდის იქნება, როდის?
იგი სამშობლოს ძახილზე
აბჯარასხმული მოდის.

„გმადლობ დაიკო.“
და აძლევს
სპილენძის ფულებს ქალი.
ქალი ბინიდან გავიდა,
დგება საღამო მკრთალი.
ლესიამ თავი ასწია,
ჩრდილი ეცემა ხეთა...
ადგა და ღია ფანჯრიდან
ეზოში გადიხედა.
ხედავს: ხავსიან ლოდებზე
შავჩოხიანი მხრებით
რიგ-რიგად სხედან ჭარმაგი
ქართველი მკურნალები.
რა ესაქმებათ ნეტავი?
რად მოუყრიათ თავი?
ჩემს ფანჯარასთან ასეთ დროს
რა ნახეს სანახავი?
მდუმარედ ადგნენ ისინი
და ამ დუმილში, სანამ
ლესია რამეს კითხავდა
მდაბლად აძლევენ სალამს.
იმათი სახის მნახველი
ასე იტყოდა კაცი:
ჭაღაროსანი მკურნალი
მოხუცია და მკაცრი!
მაგრამ შეხედეთ მოხუცებს,
როგორ ებრძვიან სიკვდილს. —
ჭაღაროსანმა კაცებმაც
ასწიეს წარბის მშვილდი.
სოფლად შეიტყვეს ამბავი,
ტკივილი გულით იგრძნეს
და მოიტანეს სტუმართან
მთელი ხალხური სიბრძნე.
სნეულმა, დაღონებულმა
კითხა:
— ვინა ხართ თქვენა?
კეთილი იყოს სურამში
ეგ თქვენი გამოჩენა!
— ჩვენ ყველა შენი ძმები ვართ
და მეგობრები დიდი. —
მეგობრობა — კი, ნამდვილი
მალამო არი მშვიდი.
ჩვენ მოვიტანეთ, დობილო,
სურნელოვანი თაფლი,
მზისგან დამტკბარი ყურძენი,
ახლადგაშლილი ვარდი.
და ყველა ამაზე მეტად,
ჩვენს შორის სიხარულით —
თვითოეული მზად არის
მოგცეს საკუთრად გული.
რომ სურამიდან ჯანმრთელი,
ვით თოვლის ნორჩი ფიფქი —
დაბრუნდე უკრაინაში
შთაგონებული ფიქრით.

წამალი — საოცარია!
სახეს მოედო ალი.
ჩანს იმოქმედა მალამომ,
წუთით დახუჭა თვალი.
საღამო ჰქრება. საწოლზე
გაწყდა სხივების მძივი.
და სნეულს ჩუმი თოვლივით
ეწვია მშვიდი ძილი.

IV

და დაესიზმრა ლესიას
თოვლში და ნისლში მთანი. —
თეთრი კი არა,
წითელი —
ნახევრად სისხლიანი.
ქვეყნად მრავალი გზა არი
ნგრევის, შენების, ბრძოლის, —
გზა პირდაპირი ერთია
ქარხნებს და სტეპებს შორის.
ამ გზაზე სასურველია
თავისუფლების მცნება
და „ვარშავულას“ სიმღერით
ბრძოლა და გამარჯვება.
წავალო ამ გზით! მიზნისკენ
ჭიაფერია ველი, —
ხევში ჰყრის მეწინავეებს
ქარბუქი საშინელი.
მაგრამ გმირები ბრძოლაში
არ ილევიან, არა. —
მოდიან და თოვლს სხეულით
ადნობენ მთა და ბარად.

ისევ იზრდება ჯეჯილი,
მიედინება დნეპრი.
ისევ ელავენ ქარხნების
მილები ალისებრი.
ისევ ენთება კავკასი,
ცეცხლად ქცეულან-მიუბი,



ღრუბლებში აზიდულია
ყინულოვანი მხრები.
ხმამაღლა მღერის მოსკოვი,
ხედავს ანთებულ თვალებს:
„ბრძოლის დიდ გზაზე, ლესიავ,
თქვენ მეტად დაიღალეთ“. —
ეუბნებიან: — „დრო არი
რომ დაასვენო ფრთები“
და მიიწვევენ სუფრაზე
კეთილი მეგობრები.
ერთ ჯგუფში ერთად მღერიან
თავისუფალი ძმები, —
შემოსილია ოჯახი
ახალი ყვავილებით.
პური და სუნთქვა თბილია,
გულიც ხალისით სავსე.
და გრძნობს ამ ხალხში ლესია
თავის სიმღერის აზრებს.

უცებ მოეშვა ტკივილი
და უხარია გულით,
რომ ერთა შორის ნამდვილად
სუფევს მშვიდობა სრული.
— მითხარით, სად ვარ?
იკითხა. —
— ან სად ვიყავი წელან?
— თქვენ, ვალმოხდილო, მომავლის
ნათელ სითბოში წევხართ.

და გაეღვიძა ლესიას,
თავი ასწია ფრთხილად. —
მეწამულ დედამიწაზე
წითლად ღვიოდა დილა.

V

ქმარი და დედა სახლშია,
სახლში არიან ძმები —
ლესიას ძმები ნამდვილი,
ქართველი მეგობრები.



„ო, მომიტევეთ“ — ჩურჩულებს:
„სწრაფად გარბიან წლები...
მსურს დავასრულო სიმღერა —
პოემა...
წერილები.“
პოემის სუფთა გვერდები,
სულში სტიქია ზღვების —
ელიან ხელის შეხებას
ახალის მხურვალებით.
ყველა გავიდა სახლიდან,
ჩქამიც არ ისმის სხვისი
მხოლოდ რაღაცას ჩურჩულებს
ლესია სიხალისით.
აზრი და ფიქრი ნათელი,
გრძნობები ქალიშვილის, —
ლად სტრიქონებში გამწკრივდნენ,
როგორც სხივები დილის.



ოქროს საწმისის საძებრად
მიცურავს იალქანი, —
ღრუბლებში გაკიდულია
თეთრი აფრების ფრთანი.
ძველისძველ საქართველოში
ზღვაზე ჩანს მთების ზოლი
კოლხიდისკენ ისწრაფის
გულხარბი იასონი.
არგო ლაქაშებს წააწყდა
შედგა ფაზისის ხევთან
შემკრთალი არგონავტები
მდინარის პირას სხედან.
ასე დახატა ლესიამ
არგოს მგზავრობა გრძელი
და გააცოცხლა ლექსებში
ამბავი ძველისძველი.
— მითხარი დაო, კეთილო,
ვინა ხარ და რა გქვიან?
რად გაგიშლია დალალი,
რად მისდევ ღელეს ქვიანს?
— კოლხიდის მეფის ცოლი ვარ,
მომტაცეს ოქროს ვერძი.
ახლა მივდივარ, იალქანს
გადავუმტვრიო ღერძი.
არ მეშინია ტყეობის,
არც სიკვდილისა, არა!
მე დავიბრუნებ დაკარგულს,
ოქროს საწმისის დარად.
კოლხური შურისძიებით
გადავევლები ველებს —
ზღვაში გავგზავნი ელვას და
გადავწვავ უცხოელებს.

ელავს ფრთიანი სტრიქონი,
სახე მიჰყვება სახეს, —
ხან ნისლში ღელავს ვოლინი,
ხან მეტეხს ქარი არხევს,
ლადო გლეჯს რკინის ბორკილებს
ნალეწი ზეცას გახევს;
გაიდუკების ლაშქარი
აღებს ვლადაის თაღებს
და თვით ვიტოშა ღრიალებს
დიდი მომავლის სახელს.
რადგანაც რევოლუციას,
ქვეყნად პრომეთეს ძახილს
და ძალას ანთეოსისას
ლესიამ უწოდა —
ხ ა ლ ხ ი!

ახლა წერილებს მიჰყვება
აზრი და ფიქრი მისი:
ლუცკი...
გალიჩი...
სოფია...
კიევი...
ქუთაისი...

ყოველი მხრიდან ლესიას
შემოესია ლაღად, —
მგზავრობის მოგონებანი
ეგვიპტე, ვენა, პრაღა, —
სადაც ყოფილა სნეული
სამშობლო კუთხის გალმა.

წერილი მისდევს წერილსა,
ფურცელი — ფურცლის შრიალს...
ფიქრით შორს არი, თავად—კი,
პატარა სურამშია! —
მშობლიურ საქართველოში,
განუყრელ მეგობრებთან.
და კვლავ თბილისი, თელავი,
ხონი... ხონში ვის? ნეტავ —
ვის გაუგზავნოს წერილი,
ვინ ესახება მზედა?
ო... იმას,
ვინაც ლესიას
შეხვდა ტაშებით:
„დედა!“
ხუთი წლის ქართველ გოგონას,
ნაზი ბულბულის ენას, —
წერილს მას მისწერს, მხოლოდ მას,
მასავით მოუსვენარს.
მას, ვინაც სთხოვდა: „წავიდეთ“.
— ბავშვების ჟრიამულში
ქალაქი შემოსილია
ვარდებითა და ნუშით.

ყურძნით დატვირთულ ვენახში
ბილიკი მიდიოდა. —
იქ იდგა აბაკელიას
ერთი პატარა ოდა.
მოგონებებში ის ოდა
ისევ იისფრად ბოლავს...
ვერავითარმა ღრუბელმა,
ქარის და ნისლის ქროლამ
მოგონება ვერ წანისლა,
ნისლი — კი, იყო ხშირი. —
ნეტავ თუ გახდა ის ციცქნა
გოგონა ქალიშვილი.
და მან, სიმღერის გენიამ,
ლექსების დიდმა დედამ —
ისწრაფა, რომ დაეწერა:
„გკოცნი!
ლესია“.

ბედად —
ეს ორი სიტყვა დატოვა,
როგორც ლეგენდა მწველი. —
ძევს სუფთა, თეთრი ფურცელი,
ფერშეუცვლელი ვრცელი...
ფურცელს ვერ მისწვდა კალამი,
ვეღარ გამართა ხელი, —
პირი ღია აქვს სათქმელად,
მაგრამ თქმა გახდა ძნელი;
ტუჩები გაფითრებია,
ვარვარებს შუბლი ცხელი.

VI

ხალხი შეყრილა ჯგუფ-ჯგუფად,
კითხულობს:
— უკეთ არი?
— არა!
ხმა შეშფოთებისა
გადადის ეზო — კარით...
რიგი ჩაჰყურებს ძველ წიგნებს,
რიგი გაჭრილა ველად —
იმ სამკურნალო ბალახის,
წამალის საპოვნელად, —
რომელიც დასაბამიდან
გადაზელილი ობთან,
მხოლოდ ძველისძველ ზღაპრებში
და ხალხში არსებობდა.

ვიღაცამ პირისახიდან
აგლიჯა საბურველი. —
ეს იყო ქარი რწმენისა,
ეს იყო სუნთქვა მწველი.
ეს იყო მართლა ცის ელვა,
თრთოლვა, სინაზე სრული,
მაგრამ ამ სინაზეშიაც
იდგა ამაყი სული.
სიცოცხლე ერთი წამია,
მისი ყმა არი ყველა!
არ გაგველიოს გზა ჩვენი
უსაქმოდ, უზრუნველად.
ამბობდა: ყველაფერი ხალხს!
ეს არი ჩვენი ვალი.
ხალხის ბედისთვის ზრუნვაში
არ დამლეოდეს ძალი;
სამშობლოს მივცე წვეთ-წვეთად
სიცოცხლე, ჩინი თვალის...
და თუ, ვერ ვნახო აწმყოში
დიადი მომავალი, —
სამშობლოს საკეთილდღეოდ
ჩემი დარგული ხეო,
ჩემს შემდგომ ჩემსა მოდგმასა
გაზრდილიც ენახეო.

ასე ამბობდა ლესია...
ხოლო ის, — ბედზე მწყრალი
მოწყალებას რომ იღებდა
ბრმა მათხოვარი ქალი, —
ღამით წავიდა სათიბში,
სადაც ჩადუნა ჰყვავის
და ყვავილებში კუპალას[1]
მოუღერია თავი.

[1] ყვავილი — ნატვრისთვალი უკრაინულად.

ბებერმა, უსინათლომ,
ბნელში წახრილმა მხრებით —
დიდი ხანია თავისთვის
მოთხარა ბალახები.
ახმობდა, ფშვნიდა, ხარშავდა
მკურნალ ბალახებს ივი
და ნაჭრით თავდაბალ
ატრიალებდა იოგვლივ.
მაგრამ ბალახის წვეთები
ცრემლებად იღვრებოდნენ...
ბრმა კვლავ ბნელს იყო
მჯდომარე,

დრონი — კი,
დრონი რბოდნენ.
ბებერს, ბალახის მძებნელსა
აღრჩობდა ბღომა ძველი.
ის — კი, წმიდა... და მიტომ
ლესიას ყველა შვილის.

მშობლიურ უკრაინაში
თავს ხრიდნენ ტირიფები.
ტიროდნენ ნამის ცრემლებით
ჭვავის ველები, მთები, —
და ამ ცრემლებში ბისტრიცა
მორბოდა გამალებით.
ზეცას სერავდა არწივი,
იყო ტკაცუნი ფრთების, —
ბრძოლისთვის ემზადებოდა
მუშათა კვარტალები.
ყალყზე დგებოდა მოსკოვი,
კიევი, ლუცკი, ბრესტი. —
იკითხებოდა თარგმანში
კარლ მარქსს — «მანიფესტი».
სიტყვა—მართალი სტრიქონი
წიგნში ნაჭედი გზნებით —
ეღარუნობს იარაღისებრ
სიმღერა გამარჯვების.
სიმღერა „მანიფესტია“...
სად დასცემს გემი ღუზას, —
წიგნი, რომელშიც ახალ გმირს
ზრდიდა მებრძოლი მუზა.
უკვე სჩანს შორი ნაპირიც,
გემი რეიდზე გადის, —
ზღვას აშუქებენ სხივები
დიადი განთიადის.
იმ მაღალ გადასავალზე
მთებიც თავს დაბლა ხრიან
და გმირებს, — რევოლუციის
ბრძოლებში ეძახიან.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

თარგმნა

ალ. გოგიაშვილმა



საფეიერვერკოს ბაღი

რ. ჯაფარიძე

ნახატები **დ. ხახუტაშვილისა**

სადგურის მოსაცდელი დარბაზის შესასვლელში სათვალეებიანი მეკარე იდგა. მარჯვენა ხელი კარის ჩარჩოზე მიებჯინა და მოწყენილი სახით მგზავრებს ათვალიერებდა. ეს უკანასკნელნი გრძელ სკამლოგინზე ყვინთავდნენ. უმრავლესობა, ალბათ, საჩხერის მატარებელს ელოდა, რომელიც პატარა ხნის შემდეგ უნდა ჩამოეყენებიათ.

დარბაზის ერთ კუთხეში ათიოდე კაცი შეჯგუფულიყო. მუსაიფში გართულნი დროდადრო მეკარეს გადმოხედავდნენ. მეკარე, თავის მხრივ, როგორც კი ამას იგრძნობდა, მგზავრებს თვალს აარიდებდა და ლიანდაგებს შუა აღმართულ კოშკს დაუწყებდა ზეერვას. ცხადია, ამ კოშკთან არაფერი საქმე ჰქონდა ჩვენს მეკარეს, მაგრამ თვალები აბა სად წაეღო! მაინც კმაყოფილი იყო თავისი შეუვალობისა: მატარებლის გამოსვლამდე ბაქანზე სეირნობა რომ მიღებული იყოს, მაშინ აღარც მეკარეს დააყენებდნენ აი აქ, კარებში. აბა, ერთი, თვითონ იყვნენ მის ადგილას! კაცი ადამიანურად ეუბნები, რომ არ შეიძლება. რატომ? რატომ და იმიტომ. ასეთი კანონია.

რკინიგზას შებერებული მოხუცი მეკარე ისე გაათამამა თავისმა ფიქრებმა, რომ ცოტაღა აკლდა იმ პეწენიკ ხალხს ხმამაღლა არ დაუძახა: «რა მოგახსენათ სადგურის მორიგემ, მართალი ვყოფილვარ თუ არაო», რომ ფანჯრის გადაღმა წითელმა ქუდმა გაელვა და დარბაზში სადგურის მორიგე შემოვიდა. კიოსკთან რომ ხალხი ირეოდა, სულ იმას მიესია. ცხადია, ხელახლა ჩიოდნენ, თქვენი მეკარე ასეთია და ისეთიაო. სათვალეებიან კაცს ულვაშებში ჩაეღიმა. ჰაი დედასა! ორმოცდახუთი წელია, რაც იაგორა გველესიანი რკინიგზაზე მუშაობს. ორმოცდახუთი, არც მეტი არც ნაკლები! იჩივლეთ! ჯერ თქვენ იმსახურეთ, ბიძია, ამის ნახევარი და მერე წამოჰკარით ხელი იაგორას! არ გაგიშვებ! წესი არ არის და იმიტომ არ გაგიშვებ. დაიწი უკან! სიწყნარე დაიცავი, ნუ მეკამათები! კამათი სუფრაზე, სტუმრად რომ მეწვევი. რამდენიც მოგესურვება, იმდენი მეკამათე.

— იაგორა ბიძია, ეს ხალხი გაატარე. მოსკოვზე სტუმრებს ელიან. მატარებელიც სამ წუთში გამოვა, — მოესმა მას ამ დროს წითელქუდა მორიგის სიტყვები.

ეს სხვაა! სტუმრებთან მეკარეს რა საქმე აქვს. უფროსმა უბრძანა, კეთილი და პატიოსანი!

მან ხელი მოაცილა კარის ჩარჩოს და მედლებითა და ორდენებით არიგებულ-ჩარიგებული ხალხი გაატარა. ბაქანზე რომ სათითაოდ გადიოდნენ, მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ორი მათგანი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, ორიც სამთო სამსახურის გენერალ-დირექტორი. ამათ ფორმის ტანსაცმელი ეცვათ. დანარჩენები საზაფხულო კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილი. ესენი კიდევ არტისტები იქნებიანო, — დაასკვნა იაგორამ.

რადიომ რაღაც გამოაცხადა. ჩიქჩიქა ორთქლმავალს შემადგენლობა ჩამოეყენებია. ხალხი აჩოჩქოლდა. ატყდა აქეთ-იქით სირბილი, გაძახილი და გამოძახილი, რადგან ერთად მიმავალთ სწორედ ახლა დაეკარგათ ერთმანეთი.

იაგორა ბიძია შეჩვეული იყო ამ სურათს. ეჭაშნიკებოდა თუ არ ეჭაშნიკებოდა, ეს სხვა საქმე იყო, მაგრამ დარბაზის ერთბაშად დაცარიელებამ წეღანდელი უსიამოვნებაც დაავიწყა. კარი ღრიჭოდ მისწრა, ბუზღუნით სკამები გაასწორა და ფეხაკრეფით ბუფეტისაკენ წავიდა. სამმანეთიანი დახლზე დაადგო. თვალებით გამყიდველი მოძებნა.

სანამ იაგორა ბიძია პილატეს ცრემლით მოპირთავებულ ჭიქას გამოსცლიდა, დარბაზის კარი ისევ გაიღო და ხმამაღალი ლაპარაკითა და სიცილით წეღანდელი «არტისტები» შემოვიდნენ. იაგორა ისეთ გუნებაზე იყო, რომ უნდა გამოეცხადებია, ახლა დამლაგებლები უნდა მოვიდნენ და დარბაზი დაკეტილიაო, მაგრამ თავი შეიკავა, ამათ შორის მან თვალი შეასწრო ხუთიოდე უცხო მგზავრს, რომელთაც გულისპირჩაგვრილისტებული გრძელი ხალათები ეცვათ და ოქროსფრად ნაქარგი კოკორა ქუდები ეხურათ. იაგორამ ჭიქა დახლზე დასდო. შენიშნა თუ არა, სტუმრებმა დამინახესო, რკინიგზელის კაკარდიანი ქუდი მოიხადა.

გენერლებსა და დეპუტატებს გაეღიმათ. სტუმრებიც ღიმილით მიესალმნენ ძველ რკინიგზელს.

იაგორა ბიძიამ მეორე ჭიქა მოითხოვა. გამყიდველმა დაუსხა, მაგრამ თვალი ფანჯრისაკენ ეჭირა. იაგორამ არაყი გადაჰკრა, ხემსი შეატანა, თვითონაც ფანჯრისაკენ მიიხედა და გამყიდველს ჰკითხა:

— მოსკოვი შემოვიდა პავლია?

— შემოვიდა, კი.

— აქაურია ეს ხალხი?

— რომელი ხალხი, ბიძია?

— რომელი და ესენი.

— კი, აქაურებია. როგორ?

— ვინ არიან, არტისტებია?

— არა მგონია. არტისტები არ უნდა იყონ. სულ წინ რომ შემოვიდა, შავშავი, მაღალი, თოდაძეა, გოგიტა თოდაძე, ჭიათურაში მუშაობს, წარმოებაში.

— დირექტორია?

— არა, დირექტორად ინჟინერი შალვა პაქსაშვილია იმ მაღაროში. ეს მნგრეველია. ბურღით მუშაობს.

იაგორამ რაღაც ჩაიფრუტუნა.

— რა იყო? — გაიკვირვა ნოქარმა.

— დიდი მატრაკვეცა კი იქნება ეგ თოდაძე. ვითამ რა მინდაო, მინისტრივით რომ გამოწყობილა და ამ დეპუტატებსა და გენერლებში გარეულა. იი, რა მეჯავრება მეტიჩარა ადამიანი, ყველგან რო უტარო კოზიციით უნდა ჩავარდეს.

— რატომ ახლა ვითომ, — იწყინა ნოქარმა, — გენერლებიც და დეპუტატებიც მაგის ამხანაგებია. გოგიტას რომ ჯმუხა კაცი გამოჰყვა დეპუტატი პლატონ ბოყოველი გახლავს. ჭიათურელია. ეგეც მნგრეველად მუშაობს მაღაროში. მეორე შალიკო ფურცხვანიძეა, ეგეც მუშა, ამწმენდი. აბა რა ბგონია შენ!

— ჰოო, — დინჯად გააგრძელა ძველმა რკინიგზელმა. ახლა ის გამოკითხა ყოველისმცოდნე ნოქარს, აქ რისთვის არიანო, შორაპანში ვის დაუხვდნენ და ჩამოსულები კიდევ რა საქმისათვის გვეწვიენო.

პავლიამ დაწვრილებით გააცნო საქმის ვითარება. ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველო ახსენა. ამ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში ტოლი არა ჰყავსო. მინისტრთა საბჭოს გარდაცვალი დროშა აქვთ მიღებულიო.

— ჰოო, — კიდევ ჩაუთოო მეკარემ.

— აბა — თვალების ცეცებით განაგრძო პავლიამ, — იმ დროშას ხუთასი ათასი მანეთი პრემია მოჰყოლია. ეხუმრები შენ?... რა ენებავთ მოქალაქე? ყაზბეგი მარტო ბათუმისაა. თბილისის არ გახლავთ. რეკორდი მოგართვათ?

იაგორას არ ესიამოვნა, რომ ლაპარაკი შეაწყვეტინეს. მგზავრს მიუბრუნდა:

— დაკეტილია, ამხანაგო. ხომ ხედავთ, რომ დაკეტილია.

— რანაირადაა დაკეტილი, ორივე კარი ღიაა და, — თავი იმართლა მგზავრმა.

— მაინც ხომ იცით, რომ დაკეტილია. ამ დროს ყოველთვის ვკეტავთ. უნდა დავხვეტოთ. დაუხვეტავში შეიძლება? არ შეიძლება.

მოსკოვის მატარებლის გასვლის შემდეგ, როცა დამლაგებლებმა სკამები აახრიგინეს და იაგორამ დაწვრილებით შეიტყო ამ სტუმრების და მასპინძლების ამბავი, გარეთ გამოვიდა და თუმცა მისი შემცვლელი კარგა ხნის მისული იყო, ბაქანზე გაიარ-გამოიარა.

თავისი სანუკვარი, თავისი დამბერებული და ამშენებელი რკინიგზა ყველაფერს ერჩივნა იაგორას, მაგრამ ახლა ძველებურად ჯან-ღონე ეტყობა. ამ თითქოლა მატარებელში ჩავსკუბდებოდი და ქვეყანა შეიარდოდი სამუშაოდო. დგახარ აგერ კარებში, რომ ხალხი თავის დროზე გაატარო და გამოატარო. თუ გინდა, დევკაცი იყავი, რა გმირობა უნდა გამოიჩინო კარებში დგომით. ურიგოდ შეასრულებ სამსახურს, — ურიგო კაცი ხარ, პატიოსნად შეასრულებ, პატიოსანი კაცი, მაგრამ გმირი მაინც სხვაა. რა უქნია ამ თოდაძეს! რანაირად არ უნდა გაუმარჯვოს საქმემ ამისთანა ვაჟკაცის მარჯვენას. ერთი კაცია, ნორმას ორისას ასრულებს. მთელი ჭიათურა ხელებში შეჩერებია. ნეტავი ამ პავლია გუფეჩიკმა საიდან იცის ასე დაწვრილებით ჭიათურის ამბები. ეტყობა ძველი ჩამწვარია. რა ქნას, რა მოუხერხოს ამ მოწყვეტილ მარჯვენას, თუ არა, დახლში შენ გააჩერებ, ჯანზე რომ იყოს? თუმცა, ძალიანაც რომ უნდოდეს გაჩერება, მთავრობა რომ ხარ, შენ არ უნდა გააჩერო. ძალა გერჩის? წადი მაღაროში, ქარხანაში, არტელში. შესაფერი ხალხი მერე დახლისათვისაც გამოიძებნება.

მან სადგურს შემოუარა და მეორე ბაქანზე გავიდა. აქ ჯერ კიდევ იდგა საჩხერის მატარებელი. იაგორამ რბილი ვაგონის კიბესთან დაინახა წეღანდელი ნაცნობები. თითქოსდა სხვათა შორის, შორიახლო აუარ-ჩაუარა. დაკვირვებით ჩაათვალიერა პლატონ ბოყოველი, შალიკო ფურცხვანიძეს ალმაცერად გახედა და ხალხში გოგიტა თოდაძის ძებნა დაიწყო. ბოლოს რბილი ვაგონის ფანჯარაში დაინახა მისი შავგვრემანი, წოწოლა სახე. თოდაძე გაცხარებით ეკამათებოდა ჩალისფერ თმიან წითურ კაცს, რომელიც ტანით პატარა იყო და ახოვან თოდაძეს მკერდამდე ძლივს წვდებოდა.

იაგორამ «გუფეჩიკისაგან» იცოდა, რომ ეს ჩალისფერთმიანი ორმოციოდე წლის კაცი ნიკოპოლელი მნგრეველი ივანე კირილენკო იყო. კირილენკო ნიკოპოლელ მაღაროელთა დელეგაციას ჩამოჰყვა და შორაპნის სადგურში გაეცნო გიორგი თოდაძეს, რომელთანაც მიწერ-მოწერა ჰქონდა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავდა გამოწვეული.

წლების მანძილზე ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველო, სადაც თოდაძე მუშაობდა, გამარჯვებული გამოდიოდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. და აი, ნიკოპოლის მაქსიმოვის სახელობის მაღაროთსამმართველომ დელეგაცია გამოგზავნა. კირილენკოც მათ შორისაა და ახლა რბილი ვაგონის ფანჯარასთან ხარბად უსმენს გოგიტა თოდაძის ლაპარაკს. ეჰ, ნეტავი გოგიტას! გულიც ერჩის და მკლავიც. მაგრამ, როგორც ჩანს, არც ხერხი ერჩის ნაკლებად. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა. ყველა ჭიათურელმა მნგრეველმა მისი ხერხი გადაიღო. ახლა ნიკოპოლელებიც ამასვე ეპირებიან. უნდა გაიგოს კაცმა ვისი შვილია ეს გოგიტა. თოდაძეები დუნთელებიც არიან, საჩხერელებიც, ჩიხელებიც...

იაგორას ახსოვდა ერთი თავისი ხნის კაცი, დუნთელი თოდაძე. ზედმეტ სახელად «ძველ მეკრკეს» ეძახდნენ. დღეს გვირაბში იღამებდა და ღამეს გვირაბში ითენებდა. მივა, მიჰბედავს, გამოკითხავს ვინაობას ამ ახალგაზრდა კაცს. იქნებ იმის ნაშიერია. ერთი ორჯერ ღვინოშიაც შეხვედრია იაგორა დუნთელ თოდაძეს. ეგენი ხომ გვარეულობით შეეკედლენ შავქვას. ეტყობა, არც ახალ დროში აკლებენ ხელს. არა,



(გაგრძელება მე-11 გვ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აყვავდა მოძმე საბჭოთა უკრაინის ლიტერატურა და ხელოვნება. ფოტოზე: უკრაინის გამოჩენილი მწერლები (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. მალიშკო, მ. რილსკი, მ. ბაჟანი, ა. კორნეიჩუკი და პ. ტიჩინა.

ფოტო ნ. კოზლოვსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელი მხატვრები ათვალიერებენ რესპუბლიკურ გამოფენას. (მარცხნიდან მარჯვნივ): მოქანდაკე ა. კოვალიოვი, მხატვრები — გ. მელიხოვი, ვ. პუზირკოვი და ა. შოვკუნენკო.

ფოტო ნ. კოზლოვსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევში მცხოვრები და მომუშავე სსრ კავშირის სახალხო არტისტები (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. ლიტვინენკო-ვოლგემუტი, ზ. გაიდაი, ი. პატორჟინსკი, გნ. იურა, ნ. უქვი, კ. ხოხლოვი და ა. ბუჩმა.

ფოტო ნ. კოზლოვსკისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიევი. ცენტრალური მაგისტრალი — კრეშჩატიკი.

კიევი. კალინინის
სახელობის მოედანი.
ფოტო ფ. ლუკაშისა



მივა, ჰკითხავს, მაგრამ ვაი თუ სირცხვილი იყოს უცხო სტუმრებთან...

იაგორა ისევ გაიტაცა ამ ხალხთან გამოლაპარაკების სურვილმა, მატარებლის გასვლამდე ბაქანზე იყურყუტა, მაგრამ მისვლა და გამოცხაურება ვერ გაბედა, რადგან წეღან, ბაქანზე გამოსვლისას, ერთი ორიოდე ცხელი სიტყვა გამოსტყუეს ჭიათურელებმა. რასაკვირველია მოხუცი მეკარე ახლაც იმავე აზრზე იდგა. იგივე ამბავი რომ გადახდენოდა, ის მაინც წეღანდელს გაიმეორებდა, მაგრამ უფრო სტუმრების რიდი ჰქონდა.

მატარებელი წავიდა, მაგრამ იაგორა ისევ ბაქანზე იდგა. რა იქნებოდა, ისიც გაჰყოლოდა მატარებელს. სადილობისას ჭიათურაში იქნებიან. სადგურიდან პირდაპირ მაღაროებში წავლენ. სტუმრებს აჩვენებენ, რაც საჩვენებელია. თვითონ თოდაძე სანგრევში შევა და თავის ბურღს აამუშავებს. მაშინ უნდა უყუროს კაცმა ივანე კირილენკოს! ფრთხილად, თოდაძე, არც ეგ გეგონოს ჯაბანი! ჩავა ნიკოპოლში და, ცხონება ქონდეს მამაჩემს, ისეთ დღეს დაგაყენებს, რომ!

2.

ღია ვაგონებიანი ეშელონი მარგანეცის მტვერით შემურულ ხვიმირებს გაუსწორდა და ჯახუნით გაჩერდა. ორთქლმავლიდან მემანქანე ჩამოვიდა, მგონი ღერძების დაზეთვას აპირებდა.

— ოჰ, იაგორა ბიძია, შენ აქ რა გინდა?! — გაოცებით წამოიძახა მან, როცა თავის ორთქლმავალთან საზეიმოდ გამოწყობილი მოხუცი გველესიანი დაინახა.

იაგორას ესიამოვნა, რომ მისი სახელი აქაც, ჭიქაურაშიც კი იცოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, იქვე გაახსენდა, რომ ეს მემანქანე მარგანეცით დატვირთულ ეშელონებს დააქროლებდა ჭიათურიდან შორაპანამდე. ალბათ, შორაპნიდან მიცნობსო, — წყენით გაიფიქრა მან და თავის მხრივ თვითონაც შეთვალიერა ახალგაზრდა კაცი, მაგრამ ნაცნობს ვერავის მიამსგავსა.

— გეტყობა სახუმარო რამეზე არ იქნები ჩამოსული, იმისთანა სერიოზული სახე გაქვს, — თვალი ჩაუკრა მემანქანემ.

— როდის ვიყავი ცერცეტა! — ჩაილაპარაკა იაგორამ და კაკარდიანი ქუდი მოიხადა, — შენ ერთი ეს მითხარი, ნუ კი იკრიჭები, აქეთ დიდი ხანია არ მიმგზავრია, ჭიქაურა არის ეს ხომ?

მემანქანემ გაკვირვებით ახედ-დახედა და, როცა შეატყო იაგორა არ ხუმრობსო, ცოტა არ იყოს, გაბზარული ხმით უპასუხა:

— ჭიქაურა არის, იაგორა ბიძია, კი... ცოტა გადავაკეთეთ...

სწორედ ამ დროს ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით, ხუთიოდე მსუბუქმა მანქანამ გადმოსჭრა ახალი ხიდი.

— ისინი არიან! — წამოიძახა მემანქანემ.

მანქანები ახლოვდებოდნენ. იაგორამ ვერც ერთი შიგ მჯდომი ვერ გაარჩია. მანქანებმა გადასასვლელი გადაიარეს. ხეობაში შევიდნენ და ერთიმეორეზე მიეფარნენ თვალშუდგამი ფაბრიკის კორპუსებს.

— უკრაინელი სტუმრებია, ტრესტში გამოუვლიათ.

იაგორამ ამ მემანქანეზე უკეთ იცოდა, ვინ იყვნენ ეს სტუმრები. თვითონ მეორე მატარებელს ჩამოჰყვა. ესიამოვნა, რომ სულზე მოუსწრო.

— სად მიდიან? — ჰკითხა მემანქანეს, რომელსაც უკვე დაემკლავებია და ორთქლმავლის ქვეშ შეძრომას აპირებდა.

— ლენინის მაღაროში.

— მეც იქით ვაპირებ ასვლას და მასწავლე, თუ კაცი ხარ, რანაირად ავაღწიო.

— ნათესავი გყავს ვინმე იქ თუ?

— მყავს, კი...

— გადადი ეგერ, შლაგბაუმთან. ქვემოდან ცარიელი მანქანები აივლიან, სილას ზიდავენ. თხოვე შოფერს და... დაგაჯენს.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ჩვენს ძველ რკინიგზელს აღმართ-აღმართ მიაქროლებდა თეთრ სილაში ამოთხვრილი საბარგო მანქანა. იაგორა ძარაზე იდგა, კაბინის სახურავზე გაზეთი გადაეფარებია და ზედ იდაყვებით დაყრდნობოდა. რა ხელმა ააშენა ამ სიმაღლე შენობა ამ კლდეში! დაიცა, რამდენი სართულია. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

აქ მანქანამ სვლას უკლო და იაგორას იდაყვები წინ გაუცურდა. გზაზე სატკეცი მანქანა გახიდულიყო.

ზოზინით გაიარეს ფაბრიკის უკანასკნელი სართულის ქვეშ, რომელიც კლდეში იყო შეჭრილი, გზის თავზე ხიდივით გადადიოდა და გვირგვინად ედგმებოდა რკინიგზის პირიდან ამოკოლიკებულ მთავარ კორპუს. ბრუნავდნენ ჭიქაურას ძველი სადგურისოდენა ჩარხები, იზნიქებოდნენ მკლავის სიმსხო ბაგირები, რომელზედაც გვირაბიდან ახლადგამოღებულ მარგანეცს მოაქროლებდა სპაერო ქვაბების ქარავანი.

მანქანამ შუა გზაზე მიიყვანა, რადგან სილას აქედან ეზიდებოდნენ. გზა ისევე ხეობაში ჩაეშვა. ვაივაგლახით აათავა აღმართი იაგორამ და მის თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაიშალა. მთაში გამოკვეთილ განიერ ტაფობზე მოჩანდა ვარდისფერი ახლადახალი შენობების რიგი. ირგვლივ სილა, ღორღი, ხის გადანაჭრები და დაშლილი ხარაჩოები ეყარა. მშენებლებს ფიცრები დაეგოთ მშენებლობიდან ვიდრე ხრამის პირამდე და ურიკელებით მიწას მოაგროვებდნენ. ერთ-ერთი შენობის სადარბაზო შესასვლელს ამშვენებდა კირით შეწინწკლული წარწერა: «ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექცია». იაგორამ თავისუფლად ამოისუნთქა. აი ისიც! მშენებლებს ხმიანად მიესალმა, მანქანაზე დასვრილი იდაყვები შეიფერთხა და კიბეზე ასვლა დაიწყო, მაგრამ სწორედ ამ დროს მოაძახეს:



— საით, ბიძია?

როგორ, დირექციაში არ უშვებენ თუ? იქნებ სამუშაოს მისაღებად მოვიდა კაცი. ასეც უპასუხა. მუშებს გაეცინათ. აუწყეს, ეს ახალი კომბინატია, დირექცია ისევ ძველ ადგილზეა და თუ ჯერ არ ყოფილხარ, მიგასწავლითო.

სასურველ ადგილს რომ მიაღწია აქ უკვე საძნელო შეიქმნა მისთვის გაეგო, ვინ სტუმარი იყო და ვინ მასპინძელი. დიდსა და პატარას ბრეზენტის ჯუბები ეცვათ. თავზე მსუბუქი ჩაჩქნები დაეხურათ. მაღაროთსამმართველოს მთავარმა მარკშეიდერმა შორაპნელი მეკარე დირექტორს წარუდგინა.

დღის ორი საათი იყო. სამ საათისათვის ამჟამად მომუშავე ცვლა უბნებს დატოვებდა და მის ადგილს ახალი ცვლა დაიკავებდა. ამიტომ ჩქარობდნენ. გოგიტა თოდაძე თავის საკუთარ სტუმართან ერთად გვირაბის შესასვლელის წინ იდგა და თანაშემწეს ელაპარაკებოდა. ივანე კირილენკოს კეფაზე მოეგდო ჩაჩქანი და ჩალისფერი თმის ბღუჯა შუბლზე ჩამოვარდნოდა. იაგორა გველესიანმა მხოლოდ ამ თმით იცნო იგი.

თანაშემწე ხელებს იქნევდა. ეტყობოდა, რუსული არ ყოფნიდა და ცდილობდა ამ გზით მაინც გაეგებინებია საყვარელ სტუმრისათვის თავისი სათქმელი. მაღაროელად გადაცმული იაგორა აქეთ წამოვიდა. თოდაძეს თითი დაუქნია. ეს უკანასკნელიც ყოსვე მასთან გაჩნდა.

— მიცანი? — გამომცდელად აკითხა იაგორამ.

— ვერა, — დაუფარავად მიუგო თოდაძემ.

«ბეჩა, ე რამოდენა პირი ჰქონია, — გაუელვა იაგორას, როცა მაღაროელის სახეზე ღიმილი აღიბეჭდა. — გუშინდელი ყმაწვილივით კი წითლდება».

მით უკეთესი თუკი თოდაძემ ვერ იცნო! თუმცა რატომ უნდა სწყენოდა! სამსახური სამსახურია. მატარებლის გამოსვლამდე ბაქანზე ხალხის გაშვება არ შეიძლება. თუმცა სახელმოხვეჭილი მნგრეველია მაგრამ ეს ამბავი გოგიტასაც ისევე [illegible] სხვებს. დალახვროს ეშმაკმა, რანაირად ჰგავს [illegible] იმ ძველ თოდაძეს. ისიც მაღალი [illegible] მასაც ამნაირი განიერი პირი ჰქონდა...

— საწყენად კი არ მიიღო, ბიძია და, «ძველი მეკირკე» თუ გაგიგონია, რომელი იცი? — ღიჭინით დაიწყო იაგორამ.

ეს რა წამოროშა! «ძველი მეკირკე» რას მიქვია!

— იასონ თოდაძეზე თუ ამბობ, ბიძია, მამაჩემია. ეს გვირაბი იმან წამოიწყო. «ძველ მეკირკეს», მამაჩემს ეძახდნენ.

— ოჰოჰო! ა თუ არა!

— მერე... მერე? — ლუღლუღით ამბობდა იაგორა და მამაშვილს ერთმანეთს ადარებდა, — რას შვრება საწყალი, ცოცხალია?

— რა უჭირს სასიკვდილო, — ღიმილით მიუგო ახალგაზრდა თოდაძემ, — ნახევარი საუკუნე იმუშავა ამ მაღაროებში. ახლა პენსიონერია. შინაა, დუნთაში. წელს ორასი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

იაგორამ კეფა მოიფხანა და კვლავ დიდი ხნის სიცოცხლე უსურვა თავის ძველ ნაცნობს.

3.

ჭიათურიდან ორიოდ საათის სავალ, შუქრუთის მახლობლად, მწვანე სერებს შეჰფენია პატარა სოფელი წიფლის წყარო. მაღაროს ერთი შტო — წიფლის წყაროს გვირაბი, სწორედ ამ სოფლის ქვეშ იჭრება მიწის წიაღში. აქ რომ მარგანეცით დატვირთული შემადგენლობა დაიძვრის ადგილიდან, მიწა ძაძაგებს წიფლის წყაროს ყანებში.

სწორედ ამ წიფლის წყაროს გვირაბის მთავარ მაგისტრალში შევიდნენ ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები. როცა დღის სინათლე უკან ჩამოიტოვეს, იაგორას გულს შიშის ჭია შეუჩნდა. სული ტკბილი ყოფილა! ყოველ ნაბიჯზე ეჩხირებოდა თვალებში თაგზარდამცემი წარწერა: «მოერიდეთ სადენს!» ეს სადენები კი აუარებელი იყო. რომელ ერთს უნდა მოერიდებოდა კაცი?

გვირაბის ფსკერზე წყვილი ლიანდაგი ლაპლაპებდა. პირდაპირ მიემართებოდა იგი ამ ლაბირინთში და სადღაც შორს იკარგებოდა. თუმცა ადამიანების გარდა მოძრავი არაფერი ჩანდა, მაგრამ გვირაბის დაძაბული მყუდროება დროდადრო შორეული, რაღაც ყრუ გრუხუნით ირღვეოდა. სემაფორებში მწვანე სინათლე ენთო. ეს ახლობელი სინათლე ათამამებდა ძველ რკინიგზელს. ის და მისი ხელობა უცხო როდი იყვნენ ამ გვირაბისათვის. რკინიგზის დაუხმარებლად მაღარო შორს ვერ წავიდოდა.

წინ მიმავალ თოდაძეს ხელში ანთებული კარბიტი ეჭირა. იაგორას უნდოდა დაეძახა, ჩაეერე კარბიტი, რად გინდა ამ გაჭახჭახებულ დერეფანშიო, მაგრამ ამ დროს მნგრეველები გვერდით გადადგნენ. სემაფორებში წითელი სინათლე აინთო. იაგორამ უკან მოიხედა. აქაც ასევე. «მოერიდეთ სადენებს!» — გაუელვა მას, სასწრაფოდ ლიანდაგს მოსცილდა და კედელს აეკრა. გვირაბი კიდევ უფრო გაჩირაღდნდა. მერე სინათლის სვეტი თანდათანობით გამოიკვეთა და სიღრმეში გამოჩდა ვეშაპივით გაწოლილი შავი მატარებელი, რომელიც შემზარავი ჯახუნით გასასვლელისაკენ მოიჩქაროდა. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა ელმავალმა. მას მიჰყვნენ ყავისფერი მარგანეცით დატვირთული ვაგონები... აი ბოლო ვაგონტმაც ჩაიქროლა და სემაფორებმა ისევ მწვანე სინათლე უჩვენეს.



თუმცა ელმავლით მარგანეცის გამოტანის ამბავი იაგორასათვის საკვირველება არ იყო, მაგრამ მის გულს მაინც სიამე მოეფინა. ძველ თოდაძეებს ხომ გოდრებით გამოჰქონდათ შავი ქვა სანგრევებიდან, რადგან ნიშას და ნიკორას სიბნელისა ეშინოდათ. ახლა ინატრა ახალგაზრდა თოდაძის მამა, მაღაროელთა წინა თაობის წარმომადგენელიც გვერდით ჰყოლოდა, რათა მისთვის გვარიანი საყვედური ეთქვა. შე მამაცხონებულო, თუკი არტელში ორასი შრომადღის გამომუშავება შეგიძლია, შენს ძველ ადგილს რატომ მოსცილდიო; თუმცა რა იცი ყოველი კაცის მდგომარეობა! იასონა თოდაძე ადვილად არ გაეცლებოდა მაღაროს. ალბათ, აუცი-

ლებელი იყო. ადგა და შვილი გამოგზავნა, რა ჰყავდა იმაზე უკეთესი.

აბა, იაგორა. გვერდზე გადაალაგე ეგ შენი ბებერი ძვლები, იწილო-ბიწილოს თავი გაანებე, ვერა ხედავ, სემათორებმა დაირეხვინეს, მზის ქვეყნიდან ცარიელი შემადგენლობა მოდის? ჰო, რა ხმა აქვს ამ გაასტიალებულ! რა ქნას, [illegible] ტონას ხელის ერთი მოსმით მოარბენინებს და აღარც იღრიალოს! მიდი, მიდი, ბიძიკო. მალე მაგ მემანქანესაც გადმოვსვამთ კაბინიდან, უმისოდაც იოლად წახვალ!

«ბიჭოს! სად წავიდნენ?» — შეჩერდა თავის ფიქრებში გართული იაგორა და მიიხედ-მოიხედა. თოდაძე და მისი სტუმარი აღარსად ჩანდნენ. წინ უკაცური ტალანი იმუქრებოდა. მარკშეიდერმა შორიდანვე შენიშნა ეს და მიაძახა:

— იარე, ბიძია, იარე. მარცხნივ შეუხვიეს, სასვლელ გვირაბში.

გადასახვევში ხე-ტყე ეყარა. ისმოდა ბირდაბირის გაბმული ხრიალი. ორი ჩაჩქნიანი მუშა მორს ხერხავდა.

სასვლელი გვირაბიც ჩვეულებრივ განათებული აღმოჩნდა, მაგრამ რადგანაც აქ რკინიგზა არ იყო, ისეთ სიჩუმეს მოეცვა, რომ თავი ულრან ტყეში გეგონებოდა. კედლის ბიგასა და ბიგას შუა აქა-იქ წყალი წვეთავდა. ესეც დაბურულ ტყეს აგონებდა იაგორას. იგი გულდანდობილად მოჰყვებოდა მიწისქვეშა ბილიკს. მხოლოდ დროდადრო შეჩერდებოდა, რათა თითო-ოროლა შემხვედრისათვის თვალი გამოეყოლებინა.

ეჰეე, ეს რაღა მილია, აქ რა საქმისათვის გამოუყვანიათ? საჩვენებელი თითით შეეხო. თბილი იყო.

— ამ მილით შეკუმშული ჰაერი შემოდის გვირაბში, — უთხრა მას მთავარმა მარკშეიდერმა, როგორც კი გვერდით ჩაუარა.

— ჰაერი... აჰაა, — წარმოთქვა იაგორამ, — სასუნთქავად, არა?

— არა, ბიძია. გარეთ ჩვენ საგანგებო დანადგარები გვაქვს, იმით ჩვეულებრივ ჰაერს ვკუმშავთ. შეკუმშული ჰაერი თავისივე წინააღმდეგობის ძალით ამ მილებში შემოდის. მილები ყველა სანგრევამდეა მიყვანილი. იქ შეკუმშულ ჰაერს მარგანეცის ამწმენდი მანქანების ასამუშავებლად ვიყენებთ. თუმცა ახლა ძნელია ამის წარმოდგენა. მივალთ და იქ გაჩვენებთ. ჩემთან ახლოს იარეთ. თუ რამე გეუცხოოთ მკითხეთ.

აგაშენა ღმერთმა! ჩვეულებრივი უხილავი ჰაერიც კი ადამიანის სასახურშია. თოდაძეებს ეხმარება. შენ კი დადექი შორაპნის სადგურის კარებში და იძახე «არ შეიძლება», «კი შეიძლება». ეს რა ყვირილია, ბოშო, მარცხი ხომ არავის მოუვიდა?

გასასვლელი გვირაბი ახალ მაგისტრალს უერთდებოდა. შესაყარში მაღაროელები შეკრებილიყვნენ. ჰაქსაშვილი ლიანდაგს გადაღმა გადასულიყო.

— სად არიან რკინიგზელები? — უყვიროდა იგი წვერწამოზრდილ ახალგაზრდას, რომ ირგვლივ გამეფებული ხმაური დაეფარა.

რკინიგზელების გაგონებაზე იაგორამ ყურები სცქვიტა.

მარჯვენა მხრიდან რკინის კეტებიანი მუშების ჯგუფმა გაიარა.

— რა მოხდა? — იკითხა იაგორამ.

— ლიანდაგი დაშლილა. ვაგონი ჩავარდება რელსსა და რელსს შუა. — თქვა მარკშეიდერმა.

ყველაზე უფრო გამწარებული გამოზიდვის ცვლის უფროსი, აი ის წვერწამოზრდილი ახალგაზრდა იყო. იგი მკლავის სიგრძე მოღუნულ რელსს მოარბენინებდა და რაღაც გაურკვეველს ეძახდა შეჩერებული ელმავლის მემანქანეს. ელმავალმა ნიშანი მისცა. უეცრად დაძრული ცარიელი ვაგონეტები ჯახუნით ეძგერნენ ერთმანეთს.

— გაჩერდი!

ცვლის უფროსი დაიხარა და გაღუნული რელსი ჩასდო იმ ადგილას, სადაც ლიანდაგი გარეთ გადაფერდილიყო.

ელმავალმა მძიმედ გაიარა. ვაგონეტები ერთიმეორის მიყოლებით შეგორდებოდნენ ან გაღუნული რელსის ზურგზე, გადმოიფერდებოდნენ, გაიგლიდნენ დაზიანებულ ადგილს და კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ გზას.

— აგერ მოდიან ისინიც! — დაიძახა ვიღაცამ. ეს გოგიტა თოდაძე იყო, რომელიც ივანე კირილენკოსთან ერთად მათ ეხმარებოდა.

მახლობელ განშტოებიდან მართლაც გამოვიდა ხუთი თუ ექვსი კაცი.

იაგორა თავისიანებს გაჰყვა. ორი დატვირთული ეშელონი წამოეწიათ. ამათმა მოტანილმა ქარმა და ქარაშოტმა კინაღამ ჩაჩქანი გადაუგდო იაგორას. რკინიგზელთა ბრიგადას გზა გაესწორებია. იაგორამ შვება იგრძნო. რკინიგზელი მაინც რკინიგზელია, გინდ მიწის ქვეშ იყოს და გინდ მიწაზე.

4.

ცვლა მთავრდებოდა.

იაგორამ ყველა უკან ჩამოიტოვა და სანგრევში შევიდა. სანგრევი ახლად გამოწყებული იყო. მაგისტრალიდანვე მოჩანდა მისი შიშველი კედელი. იქვე ფუჭი ქანებით დატვირთული ვაგონეტი იდგა. ხალხის შემოსვლამდე სანგრევში თავი ასწია ხელნიჩბიანმა შუახნის კაცმა, რომელიც დასაბურღ კედელს ასუფთავებდა. მიესალმნენ, იმანაც გაიღიმა და თავისი საქმე განაგრძო.

ვაგონეტის მახლობლად კიბის მაგვარი ლითონის ხელსაწყო იდო. ვიღაცამ ჩასძახა ყურში იაგორას, ჩარჩო არისო. ის კი გაოგნებული იდგა. მოედანს ხედავდა, მაგრამ ჯერ ბურთი არსად იყო. ისიც მალე მოიტანეს. გვარიანი რადიომიმღებისოდენა ძრავი აღმოჩნდა. სხვადასხვა ზომის ხვრელები, ჭანჭიკები და სახელურები ჰქონდა.

— ამოდი, გიორგი ბიძია. ახლა ჩვენი ჯერია, — დაიძახა ახალგაზრდა თოდაძემ და მკლავები დაიკაპიწა, — შოთა, ჩარჩო!

დამსწრეები საათებს დააცქერდნენ.

გიორგი თოდაძისათვის ახალი სამუშაო დღე დაიწყო.

საფეხურებიანი ჩარჩო თვალის დახამხამებაში შიშველ კედელს აეყუდა. შოთა შავაძემ ფოცხვერივით ისკუპა და ჩარჩოს უკანასკნელ საფეხურზე მოექცა გოგიტა ჯერ აჩერებდა ჩარჩოს, რომ არ წაქცეულიყო და როცა თანაშემწემ მისი ზემო ნაწილი საიმედოდ მიახრახნა გვირაბის ჭერს, თვითონაც ამუშავდა, შავაძის ჩამოსვლამდე დააბზრიალა ხრახნები და ჩარჩო მკვიდრ ფსკერსაც საიმედოდ ჩაეჭიდა. გაამართა თუ არა, მარჯვე თანაშემწემ ძრავიც მიუყენა ცერად დადგმულ ჩარჩოს და სანამ თოდაძე მას ამაგრებდა ბოძგირტებზე, ხუთი მტკაველი სიგრძის ლაპლაპა ბურღიც წამოეგო დანადგარს. გამოცურდა რბილი სადენი და მექანიზმთან შეერთებისას წკაპანი მოიღო.

— ორი წუთი გავიდა! — წამოიძახა მნგრეველების განსაცვიფრებელი სისწრაფით მოხიბლულმა კირილენკომ, რომელიც ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო.

გოგიტამ ძრავი ჩართო. დაბზრიალდა მოტორი. ეძგერა ბურღი მარგანეცის კლდოვან ქანებს. შეძიძგინდა მიწა და თითქოს სინათლემაც კი ცახცახი დაიწყო. სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, მოხუცმა იაგორამ პირი დააღო და ჩარჩოს შემოურბინა ბურღის დასანახავად.

— მოერიდე, ბიძია, აქეთ—აქეთ, — დაუძახა ვიღაცამ. მაგრამ იაგორა მაინც იდგა.

— მეორე! — გაისმა ბურღის გრიალში ახალგაზრდა თოდაძის მკვეთრი ძახილი.

ხუთმტკავლიანი ბურღი ამოაცურეს. მის ადგილას მეტრნახევრიანი ჩაიდგა.

— მესამე!

ეს პირდაპირ საოცრება იყო. ადამიანები იყვნენ თუ ალქაჯები! იაგორას აღარ გაუგია როგორ გაიარა დრომ. ბურღის შეუმჩნეველი გრგვინვა, გრიალი და კედლიდან ჩამოცვენილი ნამტვრევების ჭახჭახი, თითქოს, საიდანღაც შორიდან მოესმოდა. სტუმრებსა და მასპინძლებს რომ შემოეერთდა, ის ჩარჩო სამიოდე ნაბიჯის მოშორებით გადაეტანათ. კედელზე 16 ღრმა ხვრელი დარჩენილიყო.

საღამოს 5 საათზე დანადგარები მოხსნეს. თავის თანაშემწესთან ერთად ახალგაზრდა თოდაძე სადღაც წავიდა.

იაგორამ მიიხედ-მოიხედა. მის ირგვლივ სულ სხვა ხალხი იყო. ხის ყუთებით რაღაც შემოეტანათ და ახლა მიწაზე ალაგებდნენ.

— ვის ელოდები, ბიძია? — გამოელაპარაკნენ იაგორას.

— თქვენ ვინა ხართ, შვილო, ეს ხალხი სად წავიდა? — ახლადგამოვიძებულივით იკითხა იაგორამ.

— ეს ამფეთქებელი ბრიგადა, ბიძია, — ეუბნებენ მას და ასწავლეს აქედან როგორ გასულიყო.

იაგორა ისევ მაგისტრალზე გამოვიდა. რკინიგზელებს ეკითხებოდა მომყოლების ასავალ-დასავალს, მაგრამ ეს უკანასკნელნიც ახალი მოსულები იყვნენ და სასურველი პასუხი ვერავინ გასცა. გადავიდა მეორე მხარეზე და წყლის ვეება აუზთან გაჩერდა.

სანგრევიდან ამფეთქებლები გამოცვივდნენ. მათი გამოსვლაც იყო და იქაურობა აფეთქების გრუხუნმა გააყრუა. სანგრევიდან ბოლი გამოდიოდა. სადღაც სავენტილაციო დანადგარი ჩართეს და დედამიწის სიღრმეში ქარი ამოვარდა. ქარი ბოლს იტაცებდა და სადღაც შორს მიაქანებდა წიფლის წყაროს ყანებისაკენ. სემაფორებმა წითელი შუქი უჩვენეს. იაგორა კედელს აეკრა. სანგრევში ორი ვაგონი შეაგორა ელმავალმა. ელმავლიდან მარკშეიდერი გადმოხტა და მოხუცს მიაშურა:

— თქვენ აქა ხართ? მთელი უბანი შემოვატყავეთ...

თავჩაჩქნიანმა რკინიგზელმა კითხვითვე მიმართა:

— დღეა თუ ღამე?

— სამხრობა გადავიდა, ბიძია. 7 საათია. თოდაძე მესამე სანგრევშია. მეორე უკვე ააფეთქეს.

სანგრევიდან გუგუნი მოისმა და იაგორას თვალი იქით გაექცა. შეკუმშული ჰაერი მილიდან გამოჭრილიყო და ნიჩბის შემცვლელი ამწმენდი მანქანა ამუშავებინა.



— წავიდეთ თუ? — ბავშვივით იკითხა იაგორამ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ბიძია. სტუმრები გარეთ გველოდებიან. ფეხით წამოხვალთ თუ დაჯდეთ რამეზე?

— რა ქნა თოდაძემ, გვასახელა?

— როგორც ეტყობა, დღეს ორკაცნახევარი იქნება. კირილენკო შეჯიბრების გაგრძელებას მოითხოვს.

— არც გოგიტა გაექცევა.

— სად გაექცევა!

იაგორა ელმავალზე დასვეს მემანქანის გვერდით, ერთიმეორეზე სტოვებდნენ წითელ სინათლეებს. შორს, მაღაროს ოთხკუთხა პირს იქით ჭიქაურას შემურული კლდეები და ცის ლაჟვარდი გამოჩნდა.

* * *

ერთი კვირის შემდეგ დღით სამშაბათს, მაღაროთსამმართველოს დირექტორის სახელზე ვრცელი წერილი მოვიდა. მისი დამწერი დირექტორს სთხოვდა შეეტყობინებინათ, რის გაკეთება შეეძლო მაღაროში ძველ რკინიგზელს, ოროქლმავლის ყოფილ მემანქანეს, რომელიც ცოტა მოხუცდა, მაგრამ არც თუ ისე დაძაბუნებულია.



ოლეს გონჩარი

მეგობლები

მხატვარი. ალ. ბანძელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

1.

«ჩერვონი ლანის» კოლმეურნეებს დღემდე ახსოვთ, როგორ ტიროდა იმათი თავმჯდომარე ანისიმ არტემოვიჩი ტრიბუნაზე შარშან. ტიროდა და თან იქაურობას როხროხით ანგრევდა:

— არ მივცემ! არ მივცემ, სანამ მე თვითონ არ წავალ, სანამ ჩემი თვალით არ გავსინჯავ იმათ მაჩვენებლებს!..

მაგრამ კომისია უკვე მაგიდასთან იჯდა, მაჩვენებლებიც ყველასთვის ცნობილი გახდა, ისე რომ დროშის მიცემა მაინც მოუხდათ და მაინც. პეტრე გასანჩუკმა «დნიპრელსტანის» თავმჯდომარემ ჩაიბარა ის, მკვირცხლმა და მოსულმა ყმაწვილმა კაცმა, სათადარიგო ოფიცერმა. უნდა გენახათ, რა ამაყად, როგორც გამარჯვებულს შეჰფერის, გაატარა იმან დროშა მთელ კლუბში გასასვლელისაკენ, რა მაგრად მიაბიჯებდა თავისი ბრიგადირებისა და მერგოლურების წინ!.. ან რა თვალები გააყოლა იმათ ანისიმ არტემოვიჩმა! სვავივით მხრებჩამოყრილი იდგა და ორივე ხელით მძიმედ დაყრდნობოდა ტრიბუნას.

მაგრამ «დნიპრელსტანში» მაინც არ წასულა, თუმცა მეზობლად იყო ეს კოლმეურნეობა: ორივე კოლმეურნეობის მიწები ერთმანეთს ემიჯნებოდა. სამაგიეროდ გასანჩუკმა მოაკითხა მეორედ. ახალთახალი რეზინის რესორებიან ტაჩანკით მოვიდა. მხიარულად და გამომწვევი სახით შემოვიდა კანტორაში, მკერდი სულ ორდენებით მოეჭედა და, ხელში რაღაც თეთრი პარკი ეჭირა:

— სალამი და კარგად ყოფნა ანისიმ არტემოვიჩს!

ანისიმ არტემოვიჩმა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა:

— კარგად გახლავართ!

— აგერ საჩუქარი მოგართვით, — გასანჩუკმა შუა მაგიდაზე დადო ყალამქრის პარკი — რამდენადაც ვიცი, ეს კულტურა თქვენ არ მოგყავთ, ჩვენთან კი ლელიაში მოვიდა. ვიფიქრე, მოდი, მეზობელს წავუღებ, ფლავს გაიკეთებს-მეთქი!

ენერგიულად და ერთი აკვრით მოხსნა თავი გასანჩუკმა პარკს.

— ბრინჯი!

ანისიმ არტემოვიჩი ლამის სიბრაზემ დაახრჩო.

ამის შემსწრე კანტორის მოსამსახურეებს პირისკენ მიჰქონდათ თეორი მარცვლები, კბილით სინჯავდნენ, უსირცხვილოდ აქებდნენ.

მას შემდეგ იყო, რომ ანისიმ არტემოვიჩმა ჭირის დღესავით შეიძულა ბრინჯის ფლავი. რამდენიმე თვის შემდეგ თავმჯდომარის ცოლი მეზობლებში ჩიოდა:

— არ ვიცი, რა დაემართა ჩემს ანისიმს. დავუდგი დღეს წინ წანდილი და გაგიგონიათ, პირიც არ დააკარა. დაახეთქა სუფრაზე კოვზი, დადუღრულივით წამოხტა და გარეთ გაიჭრა... წანდილი კი ბრინჯისა იყო, თეთრზე თეთრი...

«ჩერვონი ლანის» კოლმეურნეობაში გაზაფხულზე დიდი მუშაობა გაჩაღდა ბრინჯის პირველი პლანტაციის გასაშენებლად. ანისიმ არტემოვიჩმა, რომელიც ბუნების მიმართ ერთობ აგრესიულად გახლდათ განწყობილი, ამჯერადაც გადაწყვიტა ორმაგი სარგებლობა გამოეწურა იმისაგან: წყლით გავსილ ბრინჯის ყანაში სარეველებით კრიალა ჭანარები შეუშვა.

ამ რაციონალიზაციის ამბავი რომ გაიგო, გასანჩუკი ფიცხლავ მოიჭრა შემთხვევის ადგილზე — «ჩერვონი ლანის» ლელიაში. ანისიმ არტემოვიჩი მაშინ სწორედ პლანტაციაზე იყო; წელამდე ტალახში ამოსვრილი, ის იყო წყლიდან ამოვიდა და საგუბარზე შედგა სახეგაწითლებული, კმაყოფილი და გალაღებული.

— აბა ახლა, გოგოებო, წყალი ასვით მაგას ბლომად! — გასძახოდა სარწყავზე მომუშავე ქალებს. — მიუგდეთ დნეპრის ცივ-ცივი წყალი, ეგ უყვარს მაგას. საუზმედ კი—მზე, მზე და მზე!

კაცი იფიქრებდა, ანისიმ არტემოვიჩს მარტო საკოლმეურნეო წყალსატუმბი კი არა, ცის მნათობიც თავის მორჩილებაში ჰყავსო.

«დნიპრელსტანის» თავმჯდომარე, ეტყობოდა, მეტად კარგი განწყობით იყო მოსული. ამის დამადასტურებელი თუნდაც ის გახლდათ, რომ თავისი ტაჩანკა ტირიფნარში დაეტოვებინა და ფეხით წამოსულიყო ანისიმ არტემოვიჩისკენ. კარგად იცოდა გასანჩუკმა, რომ მეზობელი ვერ იტანდა იმის სწრაფმავალ ტაჩანკას.

— სემინარზე გეახელით, ანისიმ არტემოვიჩ, — უთხრა გასანჩუკმა სალმის შემდეგ, — მინდა ზოგი რამ გადმოვიღო თქვენი. ეს ხომ იდეაა ნამდვილი იდეა!

— რა იდეები გამიბი ახლა! — გააწყვეტინა სიტყვა არტემიჩმა. — მოკლედ მოსჭერი.

— ვითომც ვერ მიხვდით... ჩვენთანაც გვინდა ჭანარები მოვაშენოთ.

— აი თურმე რაშია საქმე... გეყურებათ, გოგოებო? — მიუბრუნდა არტემიჩი თავის კოლმეურნე ქალებს. — კურსანტები ჩამოსულან! აბა, წაუკითხეთ ერთი ლექცია. ასწავლეთ მაგათ, როგორ უნდა მოიყვანოს კაცმა ცარიელი ფლავი და ... თევზით შემზადებული!

— სადაურები არიან ეგ კურსანტები? — გესლიანად კითხულობდნენ ქალები, თითქოსდა მართლაც ვერა ცნობდნენ გასანჩუკს.

— მოყვრები არიან, — მხნედ პასუხობდა არტემიჩი, — ჩვენებურები, დნიპრელსტანელები.

მერე ზურგი შეაქცია სტუმარს და თუთუნის გახვევას შეუდგა ნიდაყვებამდე შლამით გათხვრილი ხელებით.

სტუმარი მოთმინებით იღიმებოდა.

2

მაგრამ ბრინჯი ორივე კოლმეურნეობისათვის ჯერჯერობით მხოლოდ ცდა იყო, პირველი ცდა. მისი პატარა პლანტაციები მორცხვი პატარძალივით იტუზებოდა ლელიანების გაყოლებაზე და მოძალებული პურის ოქროსფერი ყანები, რომელთაც ცეცხლივით გაკქონდათ ლივლივი ცისკიდურამდე, მთლიანად ფარავდა იმათ.

სწორედ ამ პურის გამო იყო, რომ ანისიმ არტემოვიჩი საბოლოოდ წაეკიდა გასანჩუკს. ეს ამბავი ღამის ორ საათზე მოხდა, მტს-ში თათბირის შემდეგ. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ანისიმ არტემოვიჩი არ მოვიდოდა რომელიმე თათბირზე, ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარეები გრძნობდნენ მის იქ არ ყოფნას, უიმისოდ განსაკუთრებით ისინი გახლდნენ ყურებჩამოყრილნი, ვისაც ქილიკობისა და ოხუნჯობისათვის ნიშანში ამოსაღები კაცი უყვარდათ. ბევრი არ იყო საჭირო ანისიმ არტემოვიჩის მოთმინებიდან გამოსაყვანად. ამისათვის თუნდაც ის კმაროდა, რომ გაეკრიტიკებინათ იმისი გაქონილი კარტუზი, სწორედ ის, რომელიც სულ მუდამ უმშვენებს თავს ანისიმ არტემოვიჩს აგერ ორი წელია ყოველ სხდომაზე, სამუშაო დღეებსა თუ უქმეებში. აქ უთუოდ გაიხსენებდნენ ხოლმე სატვირთო მანქანას, რომელიც ვითომცდა გაეცვალა ანისიმ არტემოვიჩს უბრალო ცოცხებში, რომელიღაც საწარმოსათვის. მერე შარშანდელ ჭერამზეც ჩამოაგდებდნენ სიტყვას. რაც შეეხება

ჭერამს, ეს ჭეშმარიტი ამბავი გახლდათ, რაზედაც ანისიმ არტემოვიჩი, სამწუხაროდ, უარს ვერ იტყოდა. მოხდა! მოხდა ასეთი ამბავი!

გასულ წელს, ერთხელ, ყანაში მას რაიკომის მდივანი ეწვია. გადმოიღო მანქანიდან პარკით ჭერამი და ანისიმ არტემოვიჩსა და მის ბრიგადირებს გაუმასპინძლდა.

— აგერო, — თქვა, — ბაღებთან რომ ჩამოვიარე, გოგოებმა ჩამიყარესო.

— ვისმა გოგოებმა? — დაინტერესდნენ ბრიგადირები.

— დნიპრელსტანელები იყვნენ, — მიუგო მდივანმა.

ამის გაგონება და ანისიმ არტემოვიჩის ფრუტუნის ატეხა ერთი იყო: «ვითომ ესეც ხილია? მჟავე, მჭახე, ისე მოგაქცევს, ბებიაშენს დაგანახვებს საიქიოსო». იმის წაბაძვით ბრიგადირებსაც დაეჭმახნათ პირი. «არ შეედრებაო, ამბობდნენ, ჩვენი ბაღისას. არა და არაო!»

— თქვენიც აგერა მაქვს სწორედ. — მოაგონდა უეცრად მდივანს და მძღოლს გასძახა: — იაშკო, აბა ერთი ის მოიტანე, «ჩერვონი ლანის» მებაღემ რომ მოგვცა.

— აი ბარაქალა! — კმაყოფილებით აწკლაპუნებდა პირს ანისიმ არტემოვიჩი, როცა მეორე პარკიდან აღებდა ჭერამს, — მაშინვე იგრძნობ, რომ საქმე გაქვს კულტურულ ხილთან და არა გარეულთან.

ბრიგადირებიც უსინჯავდნენ აგრეთვე გემოს და ერთხმად ასხამდნენ ქებას. მძღოლი კი ამ დროს მანქანის უკან იდგა და, სამად მოკეცილი, სიცილით იგუდებოდა. ნეტა რა აცინებდა?.. ხოლო მდივანი სერიოზული სახით იჯდა, უსმენდა ამ ქებათა-ქებას და თვითონაც კვერს უკრავდა. და როცა ჭერამი მოათავეს, უეცრად განაცხადა:

— გული უნდა გაგიტეხოთ, ანისიმ არტემოვიჩ, ცოტა. აი სწორედ ახლა თქვენ მიირთმევდით და აქებდით დნიპრელსტანურ ჭერამს. ის პირველი კი, რის გამოც სახეს მანჭავდით და იფურთხებოდით, თქვენი ბაღისა გახლდათ. სისწორისათვის, იაშკომ ორივე პარკს შესაფერისი წარწერები გაუკეთა... აგერ ნახეთ...

მას შემდეგ როგორც კი თავს შეიყრის რამდენიმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მაშინვე ამ ჭერმებზე შექმნილ ხოლმე ლაპარაკს. «ვითომ ესეც ხილია? მჟავე, მჭახე, დამყნობა ჭირდება, ჯიშის გაუმჯობესება». გასანჩუკი, ცხადია, პირველი ხმის მიმცემია ასეთ საუბრებში, იმას ეს თაფლივით ესხმება გულზე.

სამაგიეროდ ანისიმ არტემოვიჩმა გუშინ ამოიგო წანაგები.

მტს-დან ღამით მობრუნებულმა და გახარებულმა მთელი ოჯახი ააფორიაქა. მაშ როგორ! მისმა ცოლმა რომანოვნამ, ტრაქტორისტმა ვაჟმა გრიშამ და ქალმა ალიონკამ, რომელიც ძმასთან გადამბელად მუშაობდა, — ყველამ უნდა მოისმინოს რა ომით წაართვა მან, ანისიმ არტემოვიჩმა გასანჩუკს კომბაინი. თან ვახშამს შეექცეოდა და თან ტრაბახობდა:

— «სტალინეცი» მე ჩავიგდე ხელში!.. წავიდეს ახლა გასანჩუკი და პირველი გამოშვების «კომუნარი» აჭრიჭინოს... აბა ერთი სცადოს იმან ხუთ დღეში მომკა, როგორც პირობა დადო! ოპოი, ბევრ ხანს მოუნდები, გასანჩუკო, კუტკალიების დევნას შენს პურში! იმდენს დაიცემინებ, ვერ დაითვალო!

— ისიც სათიბ-სამკელებს გაუშვებს, — გაეხმაურა საწოლიდან გრიშა. — მთელი ბატარეა აქვს მომზადებული.

— შენ მანდ იძინე! — დაუტატანა შვილს არტემიჩმა. — შენი ძნა როდი ილეწება.

— აბა რა იყო? — სიცილი წასკდა ბალიშში ჩარგულ არტემიჩის ქალს, — ყველა გააღვიძა და ახლა ხმა არ ამოიღოთო.

ჰოდა შენც იყუჩე, რასაც ამბობენ, ის გაიგონე! ძალიან ჭკვიანები გახდით, რაღა, ყველანი... ოღონდაც რომ ჩვენ არა ვართ ისეთი ნასწავლი და გამოწვრთნილი, როგორაც გასანჩუკია, ჩვენთან ყველას შეუძლია ენის წაგდება. ოფიცრული დისციპლინა ჩვენ არა გვაქვს, კაბინეტები არ მოგვიწყვია, ჩვენთან ისე შემოდიან, კარზე არავინ გვიკაკუნებს. ნეტავი ერთი იმასთან მოხვედრილიყავით, ის მოგიჭერდათ მუხრუჭს!

— აირია ახლა მონასტერი, — თქვა ალიონკამ ზმორებით. — ახლა დილამდე სლოკინი არ დააძინებს პეტრეს.

— მაგას დახე, ვის იცოდებს! — შესჩივლა ცოლს განაწყენებულმა ანისიმ არტემოვიჩმა. — იქნებ ისიც თქვა, «სტალინეცი» მივცეთ, — დე საჩქაროზე გათიბოს, დე პირველმა იმან ჩააბაროს პური მთელს რაიონში, დე შენი მამა ჩამორჩენილებში მიაგდოს! რას მოვესწარი! ჩემს სახლში მევე მაკრიტიკებენ. ბარემ იმაზეც მაკრიტიკეთ, რომ ტაჩანკებითა და კალიასკებით არ დავსეირნობ, იმიტომ რომა ჩემი ცხენები მინდორში ქაჯივით მუშაობენ. იმაზე მაკრიტიკეთ, რომ თქვენი მამა გაჭალარავდა და დაბერდა ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში, რაც რომ «ჩერვონი ლანის» თავმჯდომარეა. ყველაფერზე მაკრიტიკეთ! იმად, რომ არც ძილი მაქვს დროზე და არც ჭამა, რომ ჩვენს არტელს წელს მილიონერებში გამოვიყვან! აბა სად დავედრები გასანჩუკს. იმას ყველაფერი უკეთ აქვს მოწყობილი! მე არც იმისთანა ორდენები მაქვს, არც ისეთი მედლები...



— მედლები კი მართლაც ერთნაირი გაქვთ, — შენიშნა ქალიშვილმა. — პეტრესაც «ვარშავის განთავისუფლებისათვის» აქვს მიღებული.

მაგრამ ანისიმ არტემოვიჩი ისე იყო გაგულისებული, რომ მისი შეჩერება ახლა ძნელი იყო.

— მაშ, მაშ, ოფიცერი, «კატიუშჩინიკი», გვარდიელი! მე რაღა ვარ? ერთი უბრალო ბესანგრე! ხიდებს ვუგებდი და მეტი არაფერი. გადასასვლელებს ვუწყობდი და — მორჩა! ის ალაც კეკლუცობს, წითელი კანტებით თეთრ საყელოებს მუდამ დღე იცვლის, მე კი ამდენ შრომაში კარტუზის ყიდვაც მავიწყდება, განა. გაზეთილია, ომამდელი... დიახ, დიახ, ომამდელი, არ გედაღებით... მაგრამ ეს კარტუზი რომ ჩემს პურზე დავაგდო, თავთავებზე ჩამოეკიდება. გასანჩუკის პურს ვესვრი და ძირამდე ჩაზნექს.

— დიდი ხანია, მამაჩემო, რაც იმისი პური ნახე? — ჰკითხა ვაჟმა, რომელიც საბანქვეშ ჩუმჩუმად იცინოდა.

— შენ ჩემი ნუ გედარდება: მე არაფერი გამოვეპარება, მიწაში ვხედავ, რაც იმასთან ხდება, წინდაწინავე ვიტყვი, რამდენ პურს აიღებს ყოველი ნათესიდან.

— საშემოდგომო ნათესი იმას ჩვენზე ნაკლები არა აქვს, — დაჯერებული კილოთი თქვა ალიონკამ. — საშუალოდ ოცდაათის აღებას ფიქრობენ.

— აიღებენ კიდეც, — მხარი მისცა დას გრიშამ.

ანისიმ არტემოვიჩი რამდენიმე წამს უხმოდ იჯდა. მერე წამოდგა სუფრიდან, თმაგაჩეჩილი, გულმოსული, და რისხვით გადახედა ცოლს, რომელიც შიშით დუმელს აეკრა.

— იცი, მოტრია, რატომ მოუვიდა იმას წელს ასეთი პური? ჩვენმა ბარგავმა



ტყემ თოვლს გზა გადაუღობა იმისკენ. გაიგე? რაც ქარი იყო, სულ იმ ტყეზე იმტკრევდა კისერს!

«გაია დხიპოელსტანელია ტყე არ იყო, ჩვენი ჭვავი რომ დაფარა?» უნდოდა ეთქვა ცოლს, მაგრამ არტემიჩის მძიმე-მძიმე სუნთქვა რომ მოესმა, ისევ გაჩუმება არჩია.

3

ქარია...

უკვე რამდენიმე დღეა მძვინვარებს. დნეპრზე მეთევზეები იალქნების ნაცვლად აწყვანე შტოებს დგამდნენ და ესეც კმაროდა, რომ ნავი მაღალ ტალღებში ყვინთა-ყვინთვით გასრიალებულიყო დინების აღმა. სამკალი მანქანები, რომლებსაც თავიანთი საქმე მოეთავებიათ და მოძავალ წლამდე დასასვენებლად დამდგარიყვნენ, კოლნეურნეობის ეზოში ახლა ფრთებს იქნევდნენ და ზუზუნებდნენ გახურებულ ქარის მოწოლისაგან. შარაგზებზე დგებოდა მტვრის ბუღი, მშრალ ტალღებად გადადიოდა მინდორზე. ტრამალის ფრინველები გააჭაღარავა ამ მტვერმა. ქარი თავიდან აგლეჯდა ზვინებს გაქუჩუჩებულ ოქროს ქუდებს და ტრიალტრიალით მიჰქონდა ნაპურალზე.

ანისიმ არტემოვიჩი კალოზე მიიჩქაროდა და, ქარის პირისპირ მიმავალი, წელში იყო მოხრილი. ბინდდებოდა. გვალვასა და პაპანაქება სიცხეში უდაფიონოდ ჩადიოდა მზე და, თანდათან დაპატარავებული, ნელი-ნელ ეშვებოდა წითელ, სქელ ბინდში.

კალოს შუაგზაზე ტრაქტორები მუშაობდნენ. უკვე გაიშალა იმათთვის სანავარდო ადგილი, უკვე მიეცა გასაქანი ღონიერ გუთნეულს! კომბაინი «სტალინეცი», რომელიც ანისიმ არტემოვიჩმა სტაციონარზე დადგა, დღედაღამ გაუჩერებლივ ლეწდა და ლეწდა. ყოველდღე მეტი და მეტი ადგილი თავისუფლდებოდა ზვინებისაგან, სწორი და მოსუფთავებული, რომელიც მზად იყო სახნისებს ფიანდაზად გაგებოდა ქვეშ.

ახლა ორივე ტრაქტორი რატომღაც გაჩერებული იდგა.

«ნეტავ რა დაემართათ? რა მიტინგი გაუმართავთ?» — შეშფოთებული ფიქრობდა ტრაქტორისტებს მიახლოებული ანისიმ არტემოვიჩი, რომლებსაც თავიანთ აგრეგატებისათვის თავი მიენებებიათ, და გადამბელებთან ერთად მაღალ ყორღანზე შეყრილიყვნენ, სადაც ხის კოშკურა იდგა. ყველანი სამხრეთს გაჰყურებდნენ, ხელებს იქნევდნენ, რაღაცაზე დაობდნენ. იმათი ხმა ქარს იქით მიჰქონდა. აღელვებული ალიონკა, რომელსაც თავისი წითელი თავსახვევი ხელში ეკავა, ცენტრში იდგა. გრიშამ რომ მამა შეამჩნია, მოუთმენლად დაუწყო ძახილი.

ფხვიერ ხნულზე განიერი ნაბიჯებით მიმავალი ანისიმ არტემოვიჩიც ავიდა ყორღანზე, რომელიც ყოველი მხრივ იყო უკვე შემოხნული.

სამხრეთით რაღაც იწვოდა.

ცეცხლის კლაკნილი ზოლი ნელა ირხეოდა ჩაშავებულ დასალიერზე. ის ხან მიწას გაეკვრებოდა, ხან ისევ აიქოჩრავდა ცეცხლოვან ფაფარს და ალაგალაგ ცეცხლის უზარმაზარ კერებად სივდებოდა. ტრაქტორისტები და გადამბელები სხვადასხვაგვარ ვარაუდს გამოთქვამდნენ. მაგრამ თითქმის ყველანი ერთ რაში თანხმდებოდნენ — რომ ხანძარი შორსაა — «პიატილეტკაში» ან საბჭოთა მეურნეობა «ავანგარდში».

— ალბათ ისევ ნაწვერალს წვავენ... იმათმა კომბაინებმა ძალიან მაღლა აიღო პური.

— მერე და ვინ წვავს ასეთ ქარში ნაწვერალს?

— ან ეს რა იწვის ასეთი პრიალით?

— ეტყობა, კომბაინებისაგან დარჩენილი ჩალაა. იმასაც ადგილზე წვავენ ეგენი.

— გახსოვს, ორმოცდაერთში სწორედ ისეთი ცეცხლი იყო დნეპრს გაღმა, როცა ნოვოკამენელები თავიანთ პურს წვავდნენ...

— შეხე, თითქოს იკლო ცეცხლმა.

— არა, აგერ ისევ აპრიალდა.

— ჩალაა?

ყველას სურდა თავი დაეჯერებია, რომ ცეცხლი შორსაა და მხოლოდ ნაპურალი და ჩალა იწვის. მაგრამ შიში თანდათან მატულობდა, გულს უწურავდა — მათ. ვაითუ ეს ნაპურალი არაა? ვაითუ იწვის... ზვინები?

ანისიმ არტემოვიჩს, რომელიც მოღუშული იყურებოდა შორს, თანდათან მოეჭრია სიბრაზე.

— დიდი ხანია დაიწყო ხანძარი?

— ღმერთმა არ იცის... ჩვენც ახლა შევნიშნეთ.

— აბა, გრიშკა, ფეხთ გაიხადე — კოშკურაზე ადი! — უბრძანა ანისიმ არტემოვიჩმა ვაჟს: — სწრაფად, გესმის!

გრიშამ უსიტყვოდ წაიძრო დამტვერილი სალდათური წაღები, ამხანაგებს მხრებზე შეადგა და კატასავით აძვრა ზევით. ქვევით ყველამ სული გატრუნა. თავი აეწიათ და დაძაბულნი სულგანაბულნი იდგნენ.

— აბა?

— მგონი... «დნიპრელსტანშია».

— პეტრესთან! — შეჰკივლა ალიონკამ და ზარდაცემული შეაშტერდა მამას.

მაგრამ იმას ყურადღება არ მიუქცევია ქალისთვის, გააფთრებით ეძახდა თავის ბიჭს:

— კარგად დააკვირდი! საითკენ მაინც?

— ბიცობ ხევის გაღმაა... მაგრამ ვერ ვარჩევ: იქაა სადაც კომბაინი მუშაობდა, თუ მარცხნივ, მეორე ბრიგადაში... არა, არა, სწორედ მეორეშია!

ანისიმ არტემოვიჩი ისე შებარბაცდა, თითქო ხელი ჰკრესო.

— აქ რას უდგეხართ? — გაიწია უცერივ ტრაქტორებისაკენ, თავის ქალისაკენ, ყველა იმათკენ, ვინც გვერდით ედგა. — ყურებში ბამბა ხომ არ გიდევთ? მეორე ბრიგადაში! იმათ პური ჯერ ზვინებად უდგათ.

ტრაქტორისტები ხმაგაკმენდილნი იდგნენ, თითქო იმათ ედოთ ბრალი ხანძრის გაჩენაში. კოშკურიდან ჩამოსული გრიშა, რომელსაც მძიმე წაღები ხელში ეკავა, აქოშინებული იდგა.

— მამა...

— კრინტი!.. აბა, აგრეგატებისაკენ! — მთელი ხმით იღრიალა არტემიჩმა და მუშტები შეკუმშა. — ჩქარა აამუშავეთ! დასძარით! სირბილით!

არ გასულა ხუთი წუთი, რომ ორივე ტრაქტორი გუთნეულითურთ უკვე მირაბრახებდა მინდორში პირდაპირ იმ ბოროტად მოელვარე ცეცხლისაკენ.

წინა ტრაქტორი გრიშას მიჰყავდა, საჭე ხელში უკანკალებდა, ვით გახურებული ტყვიამფრქვევი. იმის უკან ალიონკა და მამა იდგნენ, რომელთაც ტრაქტორი უმოწყალოდ ანჯღრევდა და აქეთ-იქით ახეთქებდა. ტრაქტორები მაქსიმალური სისწრაფით მიდიოდნენ. მაგრამ ახლა ანისიმ არტემოვიჩს ყოველი სიჩქარე არასაკმაო ეჩვენებოდა. კარტუში ხელით ეკავა, რომ ქარს არ მოეგლიჯა, და ზედ ყურში ჩასძახოდა შვილს:

— გაზი მიეცი! ფეხი ყველა პედალს დააჭი!

ძირს, შავი მტვრის ბუღში, რახრახით მიხტოდნენ გაშმაგებული გუთნები.

4

ახლა ანისიმ არტემოვიჩი გასანჩუკზე როდი ფიქრობდა. იმ მომენტიდან, როცა ყორღანზე ასულმა შორს სიბნელეში მრისხანედ მოგიზგიზე ხანძარი დაინახა, ყველაფერმა ფერი იცვალა მის გარშემო, ახალი აზრი და ახალი ფასი მიიღო.

უკვე აღარ იყვნენ მეზობლები, რომლებიც ნიადაგ იმას ცდილობდნენ ანისიმ არტემოვიჩისათვის გაესწროთ, და რომელთა უკან ჩამოტოვებაც იმასაც არა ნაკლებ ეწადა. აღარ იყო უკვე აუტანელი გასანჩუკი მისი ტაჩანკებითა და გესლიანი დაცინვებით. იყო მხოლოდ საშინელი საფრთხე, რომელიც ხალხის დოვლათს ემუქრებოდა.

როცა გრიშამ კოშკურიდან ჩამოსძახა, «დნიპრელსტანშია» ცეცხლი გაჩენილი და შესაძლებელია პურიც იწვისო, ანისიმ არტემოვიჩი შიშისზარმა აიტანა. იმ წუთას ისეთი სახე ჰქონდა, თითქო უთხრეს, სხვისი კი არა, შენი საკუთარი პური იწვისო.

ნარგავები მყისვე გაირღვა, მიჯნები გაჰქრა. უკვე არა მარტო მისი არტელის მიწა, რომელიც ნარგავი ტყის გამოღმა თავდებოდა, არამედ «დნიპრელსტანის», «პიატილეტკას» და «ავანგარდის» მიწები რაღაც მშობლიური, მახლობელი გახდა. განსაცდელმა, რაიც მეზობელ მინდვრებს ემუქრებოდა, თითქო შეაერთა ისინი და ანისიმ არტემოვიჩს ჩააბარა დასაცავად და დასაფარავად. იმანაც იგრძნო დიდი სურვილი დაეცვა და დაეფარა ისინი. ამ წუთიდან ის იყო დარაჯიცა და პატრონიც კიდით კიდემდე გადაშლილ ტრამალისა.

როცა ტრაქტორებმა ნარგავი ტყე გამოიარეს და ერთად გამოიჭრნენ დნიპრელსტანის მინდვრებზე, სურათი მყისვე ნათელი გახდა. ქარით გაღვივებული ცეცხლი მახლობელ ფერდობიდან გრძელი ნიაღვარივით მოიკლაკნებოდა. სადაც კი გაივლიდა, უკუნი სიბნელე რჩებოდა, შავი უდაბნო, აქა-იქ მოპკურებული ოდნავ მბჟუტავი წინწკლებით.

ადამიანები ხელჩართულნი ებრძოდნენ ცეცხლს. დაბალი ალის ფონზე ჩანდა ცოცხალ ჯაჭვად გამწკრივებულები მკერდით როგორ უტევდნენ ცეცხლს და ნაპერწკლები ვარსკვლავებივით აცვიოდათ. გამოყენებულ იქნა ნიჩბები, ფიწლები, ფოცხები, ცარიელი ტომრები, ბრეზენტის ნაგლეჯები. ქარი კი ჯიუტად აღვივებდა ცეცხლს; ცეცხლის გველები მოძვრებოდნენ ადამიანთა შორის, წინ მოისწრაფოდნენ, უმალ ერთდებოდნენ და კადნიერად ეტანებოდნენ მაღალ განწირულ ნაპურალს, რომელიც თითქო თვითონვე მოიწეოდა თავის დასაღუპად. ჯერხანად მხოლოდ კომბაინით გათიბული მინდორი იწვოდა, პრიალებდა ცარიელი ჩალა, მაგრამ ზვინები უკვე ახლო იყო. ძნად შეკრული, მძიმე და უმწეო იმათი ასეული უკვე ხანძრის ალით განათებული იდგა და გავარვარებული ჰაერი ყოველმხრივ ეფრქვეოდა.

ცეცხლი გასაოცარი სისწრაფით უახლოვდებოდა მათ. ხანდახან ალი უზარმაზარ ბოლქვებად გამოიჭრებოდა ხოლმე წინ და ხანძრის ახალ და ახალ კერებს აჩენდა. უკვე იწვოდა ხევის მთელი შტო, რომლის მარცხნივაც იყო პურის ზვინები, დნიპრელსტანელთა მანქანები, რომლებმაც კალოდან აქ ჩამოიყვანა ხალხი, პირდაპირი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და მძღოლებს ცეცხლიდან შორს მიჰყავდათ ისინი.

უეცრივ გამგმირავი კვილი გაისმა ტრამალზე. ყვიროდა ფეხშიშველი, თმაგაწეწილი ყმაწვილი ქალი, რომელიც დაბალ ზვინიდან გადმოხტა. ხელში მას აპრიალებული ძნა ეჭირა.

ცეცხლი პურს მოედო.

ამ დროს ანისიმ არტემოვიჩმა, რომელიც თავისი ტრაქტორებით ფერდობზე იყო ჩასული, ბრძანა აემუშავებიათ გუთნები. ტრაქტორები ერთმანეთს მიჰყვნენ ცეცხლის თავის დასავლელად. განიერი ზოლი ახლადმოხნული მიწისა გაწვა იმათ კვალდაკვალ.

ანისიმ არტემოვიჩი წინა ტრაქტორზე იდგა და შვილს უჩვენებდა, სად გაეტანა კვალი.

რადიატორებში ადუღდა წყალი, საცობები ამოაგდო და შადრევანივით მოსჩქეფდა ზევით.

— ყური არ ათხოვოთ! — გასძახოდა სულშეხუთული ანისიმ არტემოვიჩი. — გასწით!

ტრაქტორისტებს თავიანთი აგრეგატები დაბალი ზვინების გასწვრივ მიჰყავდათ, ლაპლაპი გაჰქონდა ქუდზე ჩამოცმულ სათვალეებს. ახლადმოხნული მიწა საიმედო ბარიერად წვებოდა ცეცხლის ენების წინ და გზას უღობავდა მათ. ხანდისხან გვერდი უნდა აევლოთ ხოლმე უკვე ცეცხლმოკიდებულ ზვინისთვის და მაშინ დამწვარი ხორბლის სუნი ხომ სულ აცოფებდა ანისიმ არტემოვიჩს. კისერში ხელი ჩაევლო თავის ვაჟისთვის და მზად იყო სული ამოეხადა:

— ჩქარა, ჩქარა-მეთქი, გეუბნები!

ანისიმ არტემოვიჩს სულ დაავიწყდა, რომ ქვევით დნიპრელსტანელთა მინდორია, გასანჩუკის ყანა!.. ეს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მის წინ მოულოდნელად გამოტყვრნენ პროჟექტორებიანი დნიპრელსტანელთა ტრაქტორები. ისინი ცეცხლს მეორე მხრიდან უჭრიდნენ გზას.

მოტორების ერთობლივ გუგუნში ტრაქტორები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ და ბოლოს გაუსწორდნენ კიდეც ერთმანეთს. ანისიმ არტემოვიჩმა ხმამაღლა შეიგინა, როცა გასანჩუკი იცნო, რომელიც წინა ტრაქტორზე იდგა. გამჭვარტლული, გაშავებული და თმაგაჩეჩილი გასანჩუკი რაღაცას უკიჟინებდა იქიდან ანისიმ არტემოვიჩს და ბრინჯვივით თეთრ კბილებს აჩენდა. მგონი, მადლობას უხდიდა! ოღონდაც რომ ჰქონდა სამადლობელი საქმე!.. განიერი სარტყელი ახალი ხნულისა მკვიდრად შემორტყმოდა ირგვლივ დნიპრელსტანელთა მოსავალს და გზა გადაეღობა ცეცხლისთვის. დაიწვა მხოლოდ სულ რამდენიმე ზვინი.

დნიპრელსტანელებს რომ გაშორდა და ნახევარი წრე კიდევ დაარტყა, ანისიმ არტემოვიჩი უეცრად გონს მოვიდა:

— კმარა! განა იმისათვის მოვედით, რომ საშემოდგომო ნათესისთვის მოვუხნათ მიწა? ჩვენი სამუშაოც გვეყოფა. მოაბრუნეთ!

ქარი შესამჩნევად შენელდა. ცეცხლი, რომელიც მრავალ ალაგას შეეჩეხა მიწის ბარიერს, სწრაფად ქრებოდა. გამარჯვებული ადამიანები ფეხით ქელავდნენ იმას, იბერტყავდნენ და ერთმანეთს უქრობდნენ ნახევრად დამწვარ ტანსაცმელს.

მეორედ რომ გაუსწორდა გასანჩუკს, ანისიმ არტემოვიჩმა, ტრაქტორიდან ჩამოუსვლელად, პროკურორის კილოთი ჰკითხა ხანძრის გაჩენის მიზეზები.

— ასე თქვეს, მწყემსი ბიჭები შამბს წვავდნენო გზაზე, — მორჩილად უხსნიდა გასანჩუკი. — არ გაფრთხილებულან... ქარს აუტაცია და წამოუღია.

— თქვენ აგრე ალალბედზე გაქვთ მუდამ საქმე, — საყვედურით შენიშნა ანისიმ არტემოვიჩმა და გარეშემო მიმოიხედა. — ეგ რაა შენი მანქანა რომ სამფეხზე მოხტუნავს?

— თქვენც აგრე იხტუნებდა, ანისიმ არტემოვიჩ, — მწყრალად შეუღრინა დნიპრელსტანელმა და მანქანა, რომელსაც უკანა ბორბალი გახეთქოდა, ნელა მოატრიალა, — ასი კაცი მომყავდა! ხანძარი იყო და იმიტომ.

— შენ მე ყბას ნუ მიქცევ! — დაუტატანა ანისიმ არტემოვიჩმა მძღოლს, თითქო მისი ხელქვეითი ყოფილიყო, და მერე გასანჩუკს მოუბრუნდა: გაქვს კიდევ ბორბალი?

— არა.

— პატრონიც ასეთი უნდა... პურის გატანას რით აპირებ?

გასანჩუკი მოღუშული დუმდა.

— ყველაფერი მიეცი და მიეცი, — უმაყოფილოდ დუდუნებდა არტემოვიჩი. — სულ ხელში უყურებენ მეზობელს, აცა რას მომცემსო... ეგრე იყოს. ხვალ გამომიგზავნე ვინმე... გათხოვებ ბორბალს. გეყურება?

— მესმის.

— ოღონდ, იცოდე, სამი დღით, მეტით არა! სანამ პირველ ჯერს გაიტანდე, — მუქარით დაამთავრა სიტყვა ანისიმ არტემოვიჩმა, მერე ზურგი აქცია გასანჩუკს და თავის ბიჭებს გასძახა: — აბა, დავიძრათ!

ალიონკა, რომელიც მამას ედგა უკან და თავით ფეხამდე განათებული იყო დნიპრელსტანელთა ტრაქტორის პროჟექტორით, ალერსიანად უღიმოდა გასანჩუკს.

საბოლოოდ დაშოშმინებული ანისიმ არტემოვიჩი კმაყოფილებით გასცქეროდა დნიპრელსტანელთა ზვინებს, რომელიც ვარსკვლავიან ცის ფონზე ზედიზედ ჩნდებოდნენ მოლურჯო ბინდბუნდში.

დევგმირთა ურიცხვ ჩაფხუტებივით ჩარიკებულნი ერთმანეთს მისდევდნენ ისინი ცის კიდურამდე.

სიცილის ოსტატები

ედ. ყიფიანი

ფოტო ო.თ. თურქიასი

ყველაფერი მზად იყო. ტანისამოსი და საესტრადო რეკვიზიტი ჩემოდნებში ჩაელაგებინათ, თვითმფრინავის ბილეთები ჯიბეში ჩაეწყოთ. მაღვიძარა საათები საწოლთან ახლოს მიეტანათ და ეძინათ. დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ, რომ აეროდრომისაკენ გამავალ ავტობუსს არ გაესწრო. სულ 8 საათი იფრენდა თვითმფრინავი მოსკოვამდე. იქ კი, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში საქართველოს ფილარმონიის მსახიობები აკ. კვანტალიანი და ალ. გომელაური შეხვდებოდნენ საბჭოთა ესტრადის გამოჩენილ ოსტატებს, რომლებიც ესტრადის მსახიობთა II საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდოდნენ მოსკოვს. მაგრამ... თბილისელი მსახიობები მაღვიძარა საათის ნაცვლად რადიოს ხმამ გამოაღვიძა. ეს იყო 1941 წლის 22 ივნისის დილა

დაიწყო დიდი სამამულო ომი. მთელი საბჭოთა ქვეყანა და საბჭოთა ხალხი, როგორც ერთი კაცი, აღსდგა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ საბრძოლველად. დროებით შეჩერდა მრავალი მშენებლობა, დროებით გადაიდო მრავალი დაწყებული საქმე... გადაიდო ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსიც. მაგრამ სხვა მსახიობებთან ერთად ესტრადის ოსტატებმა უფრო სერიოზული, უფრო მეტად საპასუხისმგებლო კონცერტებში მიიღეს მონაწილეობა. სად არ ნახავდით მაშინ ჩვენს ხელოვნების მუშაკებს; გამწვევ პუნქტებში, ჰოსპიტლებში, სამხედრო გემებზე, ისინი საშეფო კონცერტებზე გამოდიოდნენ საბჭოთა არმიელების წინაშე. საღი იუმორი და გამანადგურებელი სატირა, მხიარული მშობლიური სიმღერები და ახალი ლექსები გამარჯვების რწმენას უმტკიცებდა და ბრძოლისუნარიანობას მატებდა საბჭოთა მეომრებს.

სესილია თაყაიშვილი და ალექსანდრე ჟორჟოლიანი — „გაცნობა ბალში“.

600-მდე კონცერტი ჩაატარეს დიდი სამამულო ომის განმავლობაში აკ. კვანტალიანმა და ალ. გომელაურმა. მათ მუდამ სიხარულითა და ტაშის ცემით ხვდებოდნენ საბჭოთა არმიელები. ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან მსახიობებს გომელაური გამოდიოდნენ შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა წინაშე. მიუხედავად აშკარა საფრთხისა, ისინი სამხედრო გემების ბაქანზე ასრულებდნენ თავიანთ ნომრებს... ეს მართლაც დიდი კონკურსი იყო, ეს მართლაც დიდი შეჯიბრი იყო მხიარულებისა — მწუხარებასთან, სიცილისა — ტირილთან. მხიარულობდნენ და იცინოდნენ საბჭოთა მეზღვაურები. მეორე წუთში კი საჰაერო განგაშის შემდეგ, ისინი უფრო მეტი სიძულვილით, უფრო მეტი ოსტატობით ესროდნენ საზენიტო ქვემეხებიდან მტრის თვითმფრინავებს.

სამამულო ომის წლებში საშეფო კონცერტებში მონაწილეობდნენ ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ვასო გოძიაშვილი, ქართული ესტრადის პიონერი, საკუთარი რეპერტუარის ავტორი, შესანიშნავი ოსტატი ემანუილ აფხაიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი და სესილია თაყაიშვილი, გიორგი საღარაძე და სტეფანე ჯაფარიძე.

1945 წელს კი, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ მოსკოვში მიწვეულ იქნა ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსის ლაურეატი ვასო გოძიაშვილი სპექტაკლში—«სალუტს აძლევს საბჭოთა ესტრადა»—მონაწილეობის მისაღებად. იგი გამოვიდა დიდი თეატრის სცენაზე ისეთ გამოჩენილ საბჭოთა მსახიობებთან ერთად, როგორიც არიან: უტიოსოვი, სმირნოვ-სოკოლსკი, თამარა ხანუმი და სხვ.

დაიწყო მშვიდობიანი აღმშენებლობის წლები. საბჭოთა ხალხს ახლაც სჭირდება ჩვენი ხელოვნების მუშაკების დახმარება. ჩვენი ესტრადის მსახიობები ხელს უწყობენ საბჭოთა მოქალაქეებს შრომაში, დასვენებაში, დოყლაპიებთან და უქნარებთან ბრძოლაში. მექრთამეობის, გამფლანგველობის, მლიქვნელობის და საზოგადოების ხორცმეტებთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი დიდი სამშობლო. გაიზარდა საბჭოთა ხელოვნების როლიც.

მართლაც სასაცილოდ ჩანს ახლა ჩვენი ესტრადის ოსტატთა პირველი ნომრები მათ დღევანდელ, საქმიან რეპერტუართან შედარებით.

აკაკი კვანტალიანი («მსახიობობა მინდა»).

ვასო გოძიაშვილი ასრულებს ესტრადულ ნომერს: „ქართველ ბიჭებს“. როიალთან: კონცერტმეისტერი ეკ. აგაბეკოვა.

F-1494-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც გულუბრყვილოდ გამოიყურება ქართული ესტრადის ის დღეები, როდესაც ვასო გოძიაშვილი ერთდაიგივე კონცერტზე ასრულებდა ნომერს— «ჯან, აზერბაიჯან» და ოტელოს მონოლოგს სენატის წინ. ახლა ვ. გოძიაშვილი მუსიკალური ფელეტონების საუკეთესო შემსრულებლად ითვლება მთელ საბჭოთა კავშირში.

«გოძიაშვილი მონაწილეობს? უჰ, რა კარგია!»—მოგვისმენია და ხშირად ჩვენ თვითონ გვითქვამს ეს სიტყვები. ასევე მოუხიბლავართ ემანუილ აფხაიძის, კვანტალიანისა და გომელაურის, ჟორჟოლიანისა და თაყაიშვილის, საღარაძისა და ჯაფარიძის კონცერტებს. გასახარელი და აღსანიშნავი ის არის, რომ ამ მსახიობთაგან თვითეულს თავისი საკუთარი ხერხი და საშუალებები გააჩნიათ ავტორის ტექსტის გადმოსაცემად. თვითეულს თავისი პატარა ორიგინალობა მაინც ახასიათებს საესტრადო ხელოვნებაში გავიგონებთ კვანტალიანისა და გომელაურის სახელს და თვალწინ დაგვიდგება ესტრადის სცენაზე ასული ორი მოპაექრე ადამიანი, რომლებიც ისე შეუბრალებლად დასცინიან ერთმანეთს, ისე დაუფარავად ამხელენ ერთმანეთის ნაკლოვან მხარეებს და ისე თავგამოდებით კამათობენ, რომ ხშირად მაყურებელი ეშვრობს: ავტორის ტექსტს ხომ არ ასცდნენ მსახიობები და მართლა ხომ არ წაიკიდნენო სინამდვილეში კი ასეთ კამათში და მხილებაში ვითარდება და იწყება ზოგიერთი ესტრადული ნომრის სიუჟეტი იმპროვიზატორული ნიჭის გამოყენება მსახიობს ყველაზე მეტად ესტრადიაზე შეუძლია. იმიტომ რომ ესტრადის მსახიობს ხშირად უხდება მაყურებელთან «გამოლაპარაკება» და სამახსოვრებელია ერთი სცენა კვანტალიანისა და გომელაურის [illegible] ბოლოსაკენ: კვანტალიანი თავგამოდებით და განუწყვეტლივ მღერის «რა გამდერებს, სულ ერთია, ტაშს მაინც არავინ გიკრავს»—ეუბნება გომელაური. «ახლავე დამიკრავენ». უპასუხებს კვანტალიანი და მართლაც ტაშის ცემით ყრუდდება დარბაზი. წარმოიდგინეთ იმ მსახიობის უხერხულობა, რომელმაც დარწმუნებით თქვა: «ახლავე ტაშს დამიკრავენო» და მაყურებლები კი მშვიდად სხედან სავარძლებში. კვანტალიანი თავისი ოსტატობითა და მაყურებლებში განწყობილების შექმნის უნარით თავიდან იცილებს ასეთ უხერხულობას.

ემანუილ აფხაიძეს მაყურებლებზე

ალექსანდრე გომელაური („მსახიობობა მინდა“).

მსახიობური ზემოქმედების სიმძიმის ცენტრი თავისი სატირული და იუმორისტული ლექსების მოქნილ, მოულოდნელ, ეფექტიურ სტრიქონებზე გადააქვს, მაგრამ ზოგიერთ მომენტში აფხაიძე აღწევს მიმიკის ისეთ სრულყოფას, რომ უსიტყვოდ თამაშის შემთხვევაშიც კი დავიდოდა მაყურებლამდე ტექსტის შინაარსი.

ვასო გოძიაშვილს კი ხმის იმიტაციის ისეთი დიდი უნარი აქვს, რომ რადიოში მოსმენის დროსაც თვალწინ დაგიდგება მის მიერ განსახიერებელი ტიპის სულიერი და გარეგნული სახეც. გოძიაშვილი—ესტრადის მსახიობი, მუდამ თავის მასალაშია ჩაფლული, მას არასოდეს არა აქვს მაყურებელთან «გამოლაპარაკების» მომენტები. იგი ცხოვრობს იმ წლებში და იმ ადამიანებთან, რა წლებშიაც ცხოვრობდა მისი გმირი. ამიტომ გოძიაშვილის ყოველი სახე ღრმად ამახსოვრდება მაყურებელს.

«მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვამზადებდით «მზის დაბნელებას». კოტე მარჯანიშვილმა მომანდო პორუჩიკ ჩეშმაკოვის როლი. ამავე დროს დ. მაჭავარიანთან ერთად ვამზადებდი მონტაჟს — «ძველი თბილისი». კოტემ მოისმინა და სპექტაკლში ჩაურთო.

ამ ესტრადულ ნომერს ვკითხულობდი პორუჩიკ ჩეშმაკოვის კოსტუმით და გრიმით «მზის დაბნელების» II და III აქტს შუა აკომპანიატორი იყო ვანო მურადელი.

ვანო მურადელთან ერთად გიტარის აკომპანიმენტზე მოვამზადეთ ნომერი «მუსიკალური მოგზაურობა საქართველოში», რომელიც წავიკითხე ქუთაისში ჩემი და უშანგი ჩხეიძის საღამოზე.

ესტრადა შემიყვარდა»

ეს არის ამონაწერი ვასო გოძიაშვილის მოგონებიდან აი ასეთი მორცხვი ნაბიჯებით დაიწყო მისი და ჩვენი ესტრადის სხვა მსახიობთა პირველი გამოსვლები

* * *

ძველად ღარიბული იყო საესტრადო რეპერტუარი. მაგრამ დღეს ჩვენი მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილება და მაღალი გემოვნება უფრო მეტს იდეურად გამართული და მაღალმხატვრული რეპერტუარის შექმნას მოითხოვს ესტრადის მსახიობებისაგან ესტრადა ისე სწრაფად და ოპერატიულად უნდა ეხმაურებოდეს ჩვენი დღეების საჭირბოროტო საკითხებს, როგორც გაზეთი და ისევე უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო ავტორთა აქტიური წრე. როგორც იკრებს გაზეთი მაგრამ ასე არ ხდება ქართული ესტრადის მდგომარეობა უფრო იმ კრებულს ჰგავს, რომელიც წელიწადში ერთხელ ძლივს გამოდის და რომელშიც ორი-სამის გარდა, მდარე ხარისხის ნაწარმოებებია დაბეჭდილი.

ჩვენს მსახიობებს და მწერლებს, ხელოვნების სამმართველოსა და საქფილარმონიის ხელმძღვანელებს მთელი შესაძლებლობა აქვთ უფრო მაღლა ასწიონ ქართული საბჭოთა ესტრადის სახელი, ეს აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. მაგალითად, რად დაიშალა მინიატურების ანსამბლი, რომელშიაც გაერთიანებული იყვნენ ჩვენი ესტრადის ოსტატები? ამ ფაქტს სრულიად არ გამოუწვევია სიცილი ჩვენს მაყურებლებს შორის ჩვენის აზრით უფრო სასაცილო და სამხიარულო იქნებოდა, რომ ერთ კოლექტივში ვნახავდეთ კვანტალიანსა და გომელაურს, ჟორჟოლიანსა და თაყაიშვილს, გოძიაშვილსა და შავგულიძეს, საღარაძესა და ჯაფარიძეს, აფხაიძესა და ოლღა დოლიძეს, ეს საქმიანიც იქნებოდა და სასარგებლოც. მაშინ უფრო მეტს იცინებდა ქართველი მაყურებელი.



ნილაბი — მთავარი ბერიკა: „ათასი გული კრთომით უცდის ჩემს გამოჩენას, ათასი თვალი მხიარული მე მელოდება...“ („ქართველ მსახიობს“. ტექსტი შ. დადიანისა. ვ. გოძიაშვილის შესრულებით).

— უქმად ყოფნა მოკვდა, გაქრა, ალარ არის ახლა ის დრო... (ემანუილ აფხაიძე ესტრადული ნომრის — „მიმოხილვის“ შესრულებისას)



„ეჭვიანი ქმარი“.

— მაგრამ როცა თავს გიტეხენ, ესეც ხდება ხანდახან... (გიორგი საღარაძე და სტეფანე ჯაფარიძე).

გაგრის თევზის ქარხნის № 3 ბრიგადა ბადიდან იღებს დაჭერილ თევზს.

გაგრის თევზის ქარხანაში

შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ 80 კილომეტრის მანძილზე გაშლილია „საქთევზის ტრესტის“ გაგრის თევზის ქარხნის სარეწაოები.

ადლერიდან დაწყებული გუდაუთამდე, საშემოდგომო თევზის ჭერას აწარმოებდნენ ქარხნის მეთევზეების 4 ბრიგადა და სტალინის სახელობის მეთევზეების კოლმეურნეობის 7 ბრიგადა.

მზის ამოსვლამდე სხდებოდნენ ბარკასებსა და ძრავიან გემებში მეთევზეების ბრიგადები წინადღით დაგებული ბადეების ამოსაღებად. თევზით დატვირთული ბარკასები მხოლოდ დილის რვა საათზე ბრუნდებოდა უკან, გაგრის და ბიჭვინთის სარეწაოების მისადგომებთან. აქ, მექანიზებული წესით, თევზი ბარკასიდან პირდაპირ ფარდულში იტვირთებოდა, სადაც ხდება თევზის სხვადასხვაგვარი დამუშავება: დამარილება, დამარინადება, შებოლვა, გაყინვა.

პარტიის სექტემბრის პლენუმის დადგენილებებთან დაკავშირებით, მიმდინარე წელს გაგრის თევზის ქარხანაში საგრძნობლად გაიზარდა თევზის ჭერა და თევზის პროდუქტების გამოშვება. ამისათვის ბიჭვინთის სარეწაოების ტერიტორიის მისადგომებთან გაკეთდა ორი დანადგარი, რომელთა საშუალებით ნავსადგურიდან პირდაპირ ფარდულში მექანიზებულად გადაიტვირთება თევზი. აშენდა ახალი კაპიტალური კამერები, სადაც შეიძლება 5 ტონა თევზის შებოლვა. აქვე მთავრდება მაცივარის მშენებლობა და საკონსერვო საამქროს დანადგარების მონტაჟი. ეს საამქრო მიმდინარე წლის დეკემბრიდან გამოუშვებს შავი ზღვის თევზის კონსერვებს (ყოველდღიურად 7.000 ქილას).

გაგრაში დაიწყო მუშაობა ახალმა მაცივარმა, რომელშიც შეიძლება შენახულ იქნას 50 ტონამდე თევზის პროდუქტები.

თევზის ქარხანა ახლა თევზჭერას აწარმოებს პასიური მეთოდით. მისადგომებიდან მოშორებით ჩაუშვებენ ბადეს და რამდენიმე ხნის შემდეგ მიაკითხავენ მას განსატვირთავად.

მიმდინარე წლიდან ქარხანა გადავა აქტიურ თევზჭერაზე. ამისათვის პირველ კვარტალში იგი მიიღებს თევზისსაჭერ მექანიზებულ გემებს—სეინერებს და კაპრონის ქისისებურ ბადეებს.

პირველ კვარტალშივე განზრახულია სანაპიროსთან თევზისჭერის მექანიზაცია — ბადეებში გაბმული თევზის მსრუტავების საშუალებით ამოქაჩვა, მთლიანად მექანიზებული იქნება თევზის გადმოტვირთვა და მისი დამუშავება.

ყველა ეს ღონისძიება საგრძნობლად გაზრდის თევზის ჭერას და დამუშავებას, მისცემს ჩვენს ქვეყანას მრავალ ათეულ ტონა თევზის პროდუქტებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

ბიჭვინთის თევზის სარეწაოებზე დაჭერილი თევზის გადარჩევა.

გრიგოლ ცეცხლაძე

ქლუხორში

ჩრდილოეთ საქართველოსი
ნიავი მომხვდა ფრთამალი,
ქლუხორის მთების ჰაერი
მეამა, როგორც წამალი.

მე გავხალისდი, ავმღერდი
ბანს მაძლევს მკვირცხლი ტებერდა.
ნისლი მოსცილდა მწვერვალებს,
მწვერვალზე ორბი შეჩერდა.

აღტაცებული დავდივარ,
მხიბლავს ყოველი უბანი, —
მწვანით მოსილი ქედები,
მუდამ მღელვარე ყუბანი.

მზიურ სოფელში, მზისაში
დავლიე წყარო ანკარა —
სადაც ქართველი დამკვიდრდა,
ქართულად დაარქვა ანკარა.

ბარშიაც, იალბუზზედაც,
რომ შრომობს ჩვენი ხალხია,
აქ წმიდა ოფლი იღვრება,
აქ ბუხაიძე მარხია.

მეც ჭაბუკებთან, ზურგჩანთით,
თითქოს ზეცაში ავედი.
ვნახე მთა ყინულოვანი,
ძირს რომ ეფინა ხავერდი.

და ვიმეორებ: სალამი!
სალამი მთაო მაღალო!
სალამი ახალ ქლუხორის
მოსახლეობავ ახალო!

ოთ. ჭელიძე

მერნები დიდი თეატრის თავზე

საიერიშოდ დარახტულები
მაღალ სვეტებზე დგანან რაშები
და დედამიწას გადაჰყურებენ
ძველ ლაშქრობათა გადანაშთები.

ყალყზე შემდგარან გადასახტომად,
აბრიალებენ თვალებს მერნები,
მონატრებიათ გადასაძოვად
დონის, დუნაის მწვანე ველები.

გამზადებულან გადასაფრენად
და საწადელიც მომატებიათ,
გადასაჯეგად, გადასათქერად
ვოლგის ტრამალიც მონატრებიათ.

იწევს სამივე რაში. გაგვიშვით!
მაგრამ უჩინარ მხედრის თითებით
დგანან თეატრის თავზე, ჰაერში,
ზედ არ ასხედან ძველი სკვითები.

ქვებადქცეულნი ისე ნატრობენ
მოითარეშონ ქვეყნის მთა-ბარი...
და მშურს ცხენების, რომ არასოდეს
არ მეღირსება ძეგლი მათგვარი.

თ. ჯანგულაშვილი

სემიონოვის გადასასვლელი

აჰა, გაჰხედე—მზის დიდ კალოზე
უკვე შუადღის ბრუნავს ბორბალი,
ზვიადი მთების მკერდს დაჰხვევია
გზა—უზარმაზარ თოკის გორგალი.
არწივის ფრთას რომ დაუქროლია
გზა ირიბ-ირიბ მთაზე წვრილდება.
ახირებული რამ ზნე ჰქონია —
მიდის და მაინც მთას ვერ სცილდება.
ელვის კუდივით შემოქნეული
მიდის და ლამის აღარც გათავდეს,
სცადე, გაშალე, მზის ეს ხვეული, —
ალბათ გახწვდება არარატამდე.

მაღლა ასვლაზე ხელჩაქნეულნი
დაბლა ხევებში დარჩნენ ხეები,
მწვერვალებს გაბმით შეჰბუბუნებენ
ტყეები, მწვანე საჯიხვეები.
ვერ ააღწია ალპურ იალაღს,
ბერ ხეს დარდისგან დაჰკრა ჭაღარამ,
რა ჰქნას, აღმართზე ველარ იარა
და მუხამ მუხლი უხმოდ ჩახარა.
შევდექ, დავჭიმე გულის ფესვები
და ხელით ვსინჯავ ლაჟვარდის ხიხქეს.
სემიონოვიდან დაბლა ვეშვები,
გზამ დაივაკა სევანის ტბისკენ.



ნ. ა. ნეკრასოვი

თარგმანი მურმან ლებანიძისა

მომავალი ვოლგა

ვაგლახ, ვეწიე ჭაღარას,
ცვლით კი — ვიცვალე ცოტა...
ვჭვრეტ სხვა სურათებს, სხვა ხანას,
დასაბამს სულ სხვა დროთა.

იქ, სად მშობლიურ მდინარეს
აბრუნებს ბედის ჩარხი,
აღსდგება თავისუფალი,
ბორკილახსნილი ხალხი, —

სანაპიროთა უდაბურ
ტრამალებს დაასახლებს;
მეცნიერება გოლიათ
მდინარეს უცვლის სახეს, —

ზედ ბუმბერაზი გემები
გასწევენ ურიცხვ ჯარად...
და მარადიულ მდინარეს
თავს დაადგება მცინარე
შრომის სუფევა
მარად!

კალისტრატეზე

მიმღეროდა დედილო ნანას
და მირწევდა აკვანს ნელა:
გამეზრდებიო, კალისტრატე,
იცხოვრებო უდარდელად!

და ჰა ახდა, — უფლის ნებით
ბედნიერად ტოკავს გული:
არვინ არის კალისტრატეზე
შეძლებული და მოკაზმული!

ყელამდე მაქვს... წყაროს წყალი,
კეფას ვიფხან და ყანას ველი,
დიდ მოსავალს ველოდები და
მითესია — არაფერი!

შრომობს ცოლიც, შიშველ-ტიტველ
ბავშვებს რეცხვას არ ზარდება,
ქმარზე უფრო იკაზმება და
ბანდულებით დაბრძანდება!

თაველი

დაპურებულა ჯეჯილი,
მოოქროვილა თაველი,
ოქროფერილი ყანები
წელგამართული დგანან.

გაუდის ყანებს შრიალი,
შრიალებს ალერსიანი
ყანა...
რა საოცნებო ჟამია!
დრო-ჟამი უფრო მდიდარი,
ტურფა და ხალისიანი
სხვა რომელია განა!
ჰე, ზღვადქცეულო ჯეჯილო,
დღეს სათქმელადაც ძნელია,
რა ღვაწლმა, შრომამ, რა ზრუნვამ
და რა ამაგმა გზარდა,
ვიდრემდის დაპურდებოდი
და გლეხკაცს წარუდგებოდი
როგორც ლაშქარი სარდალს...
ყანავ ცისანამი კი არა,
ჟუჟუნა წვიმა კი არა —
გლეხკაცის ოფლი გბანდა!

ტბა

ტბა — სარკე მწვანე ჩარჩოში,
პირთამდე სავსე ტბა.
დაჭრიან,
დასრიალებენ
მკვირცხლი მერცხლები ტბაზე...
და რომელიღაც ქინქლები —
ცქვიტები, კაფანდარები —
დახტიან,
დასეირნობენ,
ვითომც უვლიათ მშრალზე.

ნაპირზე, ტირიფიანში,
ისმის ღალღების ძახილი,
ტივტივებს ტივი და ტივზე,
იხვის ჭუკების გარდა,
ფართე და ჩასუქებული
მლვდლის ქალიშვილი დამდგარა —
დაყუდებულა ზვინივით,
აუკეცნია კალთა.

სთვლემს დედა-იხვი ტივზე,
სთვლემენ ჭუკები იხვის...
ჩუ! ყური მოჭკრეს ხვიხვინს!
ეს — სადღაც ცხენი ხვიხვინებს!
უცებ გახედეს გლეხებმა
და ტბის სარკეზე იხილეს
ერთბაშად ორი თავი:
ერთი თავია გლეხკაცის —
ხუჭუჭთმიანი,
შავი...
ციმციმებს ვერცხლის საყურე,
მზე დასთამაშებს ბაღრი;
მეორე — ცხენის თავია —
საბელი აუთრევია,
ასე, თხუთმეტი ადლი.

მისცურავს გლეხი —
მისცურავს ცხენი,
გლეხკაცმა საბელს ჩაავლო ხელი,
სტაცა, ჩაიდო პირში.
ცხენმა ასტეხა ჭიხვინი,
გლეხმა ასტეხა ყიყინი —
ბოლო არ უჩანს ყიყინს...
მისცურავენ და ჰყვირიან,
ჭუკების ფეხქვეშ ტივია,
დიაცის ფეხქვეშ — ტივი...
ტივტივებს ტივი,
ტორტმანებს,
ირწევა ნაფოტივით.

წამოეწია გლეხკაცი,
უცებ ძუაში სწვდა,
ზურგზე მოექცა მარჯვედ
და მიაშურა სათიბს;
ვეება ტანი თეთრი აქვს,
კისერი — როგორც კუპრი...
ცხენსა და მხედარს ტბის წყალი
ნიაღვარივით დასდის.

სამხატვრო საბჭო (მარცხნიდან მარჯვნივ): ქარხნის ტექნოლოგი ელისაბედ თუშიშვილი, ადგილმრეწველობის ტექნოლოგი მარიამ მახარაძე, მხატვარი კერამიკოსი ივანე ბუზარიაშვილი და ქარხნის დირექტორი სოლომონ ზაალიშვილი.

ჭიქურის ფილის ქარხანაში

არც ისე შორეულ წარსულში თბილისის ამ უბანში ერთი ქარხანა იყო... აგურხანა! ამ პატარა ქარხნის კვამლი ნისლივით ჰფარავდა ღრმაღელის ფერდობზე მიმოყრილ ქოხმახებს... ღრმაღელე სოფელი იყო ქალაქში!

გაშენდა და მჭიდროდ დასახლებული შეიქნა ჩვენი დედაქალაქის ყველა გარეუბანი—ამის ნათელი სურათია დღევანდელი ღრმაღელე.

. . . იმ აგურხანის ეზოში ახლა ჭიქურის ფილის ქარხანაა.

წარმოება-დაწესებულებებში, ოჯახებში, თქვენ გინახავთ მოჭიქული ღუმელები, ეს ღუმელები ლამაზია და დიდი თბოუნარიანობა აქვთ. მარტო შარშან ქარხანამ დაამზადა ორი ათასი სათბობი და სამზარეულო ღუმელი.

ქარხნის კოლექტივი (დირექტორი ს. ზაალიშვილი ტექნოლოგი ე. თუშიშვილი, პარტბიუროს მდივანი ი. ლორთქიფანიძე) ეფექტიურ ზომებს ღებულობს ღუმელების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წელს ქარხანა აითვისებს და დიდი რაოდენობით მიაწვდის მომხმარებელს უკარკასო, ჩუქურთმებით შემკობილ ღუმელს, რომლის კონსტრუქტორია ელისაბედ თუშიშვილი.

ჭიქურის ფილის ქარხანა მარტო ღუმელებს როდი ამზადებს, — მაღალხარისხოვანია აქ გამომწვარი კრამიტი. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ ნაგებობათა რესტავრაციის საჭიროებისათვის ეს ქარხანა სპეციალურად უშვებს ქართულ ღაროვან კრამიტს.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი განსაკუთრებული მონდომებით მუშაობს მხატვრული კერამიკის განვითარებისათვის. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ცნობილი კერამიკოს-მხატვრის ივანე ბუზარიაშვილის მიერ დამზადებული მოდელები ქართული კერამიკული ჭურჭლისა დოქი, სურა, ფიალა...

ქარხანა უშვებს მრავალ სამკაულსა და ფართო მოხმარების საგანს. ხატოვანებით გამოირჩევა კომპოზიცია «ქართველი დედა», «შველები», (საფერფლე). ასევე, მრავალი ფრინველი და ცხოველი დიდი ოსტატობითაა გამოსახული ჭიქურში; ქარხანაში მუშაობს ფოტო-კერამიკის ჯგუფი, რომელსაც ჭიქურზე გადააქვს ფოტოსურათები. უკვე დამზადდა სტილიური ჩარჩოები—სურათებისათვის და რელიეფური ვაზები მსუბუქი ბარელიეფით.

ქარხანაში გამოცდილი ოსტატები მუშაობენ. მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან საღუმელე საამქროს ამწყობი ოსტატები ა. ელკანიშვილი, გ. არზრუმანოვი, ჯ. დავიდიაკი და ი. მუხიგულაშვილი.

ზამთარი ბაკურიანში.

ფოტოეტიუდი კ. კრიმსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანი. მოსწავლე-მეთხილამურე ყოროშვილი ვარჯიშობაზე.

ჟურნალ „დროშის" № 11-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად:

3. დისონანსი. 8. ბადიაური. 9. არქიმედი. 11. ათი. 12. ტბა. 15. ალუკსნე. 17. ავტორი. 19. არსენა. 20. ინტროდუქცია. 21. შარადა. 22. იდალგო. 23. ლირიკა. 24. დარაჯი. 25. ფარაჯა. 28. სმერჩი. 29. მიტროპოლიტი. 31. ტრაქეა. 32. ილიონი. 33. სოლისტი. 35. იდო. 36. სრა. 37. მინარეთი. 39. ტრავიატა. 40. ბიოგრაფია.

ვერტიკალურად:

1. ტულონი. 2. კარადა. 4. ილუზია. 5. სიქსტე. 6. კამჩატკა. 7. ადაპტერი. 10. მიკადო. 11. აზრი. 13. აბრა. 14. ტრაქეა. 16. კავალერია. 18. ინერცია. 19. აილანტი. 26. აკადემია. 27. იპრიტი. 28. სკორბუტი. 29. მერი. 30. ილია. 33. სოფელი. 34. ისლამი. 38. ინგილო. 39. ტრავმა.

ჟურნალ „დროშის" № 12-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად:

1. ნავარა. 5. უჯარეა. 7. გეოლოგი. 11. რუბიკონი. 12. აზარფეშა. 14. ალტაი, 15. ანთოლოგია. 16. გაგრა. 19. საირმე. 22. ტიტანი. 24. არაგონი. 25. ანრი. 26. იოტა. 27. არტური. 28. არაქსი. 29. ნოტა. 32. ნერუ. 33. ატროფია. 34. ახტალა. 35. ელგუჯა. 38. კოლბი. 39. პროტოტიპი. 40. თაისი. 44. ოსტინატო. 46. კაპიტოლი. 47. აბლაცია. 48. ირტიში. 49. ანკარა.

ვერტიკალურად:

1. ნიბლია. 2. არმია. 3. ტორი. 4. ტონა. 5. ულუფა. 6. ანგარა. 7. გროზნო. 8. იტალია. 9. მუნასიბი. 10. აშხაბადი. 13. ფლანგი. 17. იმპერიალი. 18. ტირასპოლი. 19. სინკოპა. 20. არარატი. 21. ანარქია. 23. ისტორია. 30. ავტობუსი. 31. მონროე. 32. ნიუკასლი. 36. არმადა. 37. ეპოპეა. 38. კუინჯი. 41. იგარკა. 42. ლიონი. 43. ატალა. 45. ოსლო. 46. კეცი.

რედაქტორი — **გრ. აბაშიძე** | სარედაქციო კოლეგია: **შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე** (პ/მგ. მდივანი), **ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.**

ნომერი გააფორმა **ალ. ბანძელაძემ**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | **ფასი 3 მან.** | **გარეკანი დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/II-54 წ. გამომც. № 6 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 1118 უე 00221

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი გასეირნება თოვლში

ფოტოეტიუდი ნ. ჯანბერიძისა

ფასი 3 მან.
102/28

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7 Госнумера 1,не
5 15 ср 7